

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში

Student Journal of Social Sciences

№28, ივლისი

ელექტრონული სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი

2024

E ISSN: 2449-3066

სარედაქციო კოლეგია:

ვალერიან მელიქიძე – სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი,
საზოგადოებრივი გეოგრაფია

გიორგი კვინიკაძე – ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფია

მარინა ბურძენიძე – ასოცირებული პროფესორი, სოციოლოგია და სოციალური მუშაობა
სალომე ნამიჭიშვილი – ასისტენტ-პროფესორი, სოციოლოგია და სოციალური მუშაობა

ნანული ტალახაძე – ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკა და მასკომუნიკაცია

მანანა შამილიშვილი – ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკა და მასკომუნიკაცია

სალომე დუნდუა – ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერება

ავთანდილ ტუკვაძე – ასისტენტ-პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერება

ფიქრია ასანიშვილი – ასოცირებული პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობები

დავით მაცაბერიძე – ასისტენტ-პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობები

თეონა მატარაძე – ასოცირებული პროფესორი, ინტერდისციპლინური დეპარტამენტი

ტექნიკური ჯგუფი:

თეონა თაბუაშვილი, მირანდა მიქაძე

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. დიმიტრი შავლოხაშვილი, თამარ კირვიტაძე.
საგამომძიებო ჟურნალისტიკის როლი კორუფციასთან ბრძოლაში „გამომძიებელი რეპორტიორისა“ და „სტუდია მონიტორის“ მაგალითზე _____ 4
2. თორნიკე ყრუაშვილი, ვანო გომურაშვილი
ეთნიკური უმცირესობების სახელმწიფო პოლიტიკის ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებასთან თავსებადობა _____ 24
3. მარიამ ბეინაშვილი
რუსეთ-უკრაინის ომის ზეგავლენა რუსეთის სტრატეგიულ დოკუმენტებში NATO-სა და EU-ს ქვეყნების ასახვაზე (რუსეთის სტრატეგიული დოკუმენტების შედარებითი ანალიზის საფუძველზე) _____ 39
4. მარიამ არაბაშვილი
თანამედროვე ურბანული სამუშაო სივრცე და სოციალურ-პროფესიული დინამიკა ვაკის, გლდანისა და დიდუბის რაიონების მაგალითზე _____ 49



საგამომცემო ჟურნალისტიკის როლი კორუფციასთან ბრძოლაში „გამომცემელი რეპორტიორისა“ და „სტუდია მონიტორის“ მაგალითზე

დimitრი შავლოხაშვილი
თამარ კირკიტაძე

პოლიტიკის ანალიზისა და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა
მედიის კვლევების სამაგისტრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: dimitri.shavlohashvili442@sps.tsu.edu.ge

E-mail: tamunakirkidze26@gmail.com

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, შეაფასოს ქართული საგამომიებო ჟურნალისტიკის როლი კორუფციასთან ბრძოლის საკითხში, კონკრეტული გამოძიებების მაგალითზე.

კორუფცია ქვეყნის განვითარებისა და დემოკრატიზაციის პროცესის მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს, მასთან ბრძოლის საუკეთესო იარაღი კი სწორედ დემოკრატიზაცია და უსაფრთხოების სექტორის გაძლიერებაა. კორუფციის გამოვლენაში, გარდა მამხილებლებისა, დიდი როლი აქვს მედიასაც. ის, როგორც „მეოთხე ხელისუფლება“, აკონტროლებს სამივე შტოს საქმიანობას და ავლენს უკანონობას. აღნიშნული როლი ყველაზე უკეთ საგამომიებო ჟურნალისტიკაში იკვეთება. კარგ ჟურნალისტურ გამოძიებას ხშირად მოყვება უკანონობის ჩამდენი პირების გათავისუფლება, გადადგომა და პატიმრობაც კი. დამნაშავეს გამოაშკარავებითა და გამჭვირვალობით, საგამომიებო ჟურნალისტიკა ზრდის მოქალაქეთა ჩართულობას, ინფორმირებულობასა და შესაბამისად, დემოკრატიის ხარისხსაც.

ზემოთ მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე, აღნიშნული საკითხის კვლევა მართლაც აქტუალურია. საინტერესოა, რა მდგომარეობაა ამ მხრივ ქართულ მედიაში. კვლევის მიზანს წარმოადგენს იმის დადგენა, თუ რამდენად ეფექტურად მუშაობს ქართული მედია კორუფციის წინააღმდეგ და რა გამოწვევებს ვაწყდებით. საკვლევ ერთეულებად შეირჩა, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი მაუწყებლის „გამომიებელი რეპორტიორისა“ და, მეორე მხრივ, კერძო ორგანიზაციის, „სტუდია მონიტორის“ ჟურნალისტური გამოძიებები. ამან შესაძლებლობა მოგვცა შეგვედარებინა სახელმწიფოს ბიუჯეტიდან დაფინანსებული არხისა და კერძო არხის საგამომიებო პროდუქცია, დაგვეჩინა მათი საერთო და განმასხვავებელი ტენდენციები.

რაც შეეხება კვლევის მეთოდოლოგიას, გამოყენებულია თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდი. აგრეთვე, ჩატარდა ნახევრადსტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუები დარგის ექსპერტებთან. საკვლევ პერიოდი 2023 წლის 1-ელი იანვრიდან 2024 წლის 15 მაისის ჩათვლით განისაზღვრა, რათა მასში უახლესი გამოძიებებიც მოხვედრილიყო. ნაშრომში მოცემულია ამ პერიოდში გასული გამოძიებების თემატურ-სტრუქტურული და შინაარსობრივი ანალიზი, კონკრეტული მაგალითები, შეფასებები, არგუმენტები და მიგნებები. აგრეთვე, გთავაზობთ ინტერვიუების შედეგებსაც.

მოცემული კვლევა წარმოადგენს სიახლეს იმდენად, რამდენადაც ქართულ სამეცნიერო ბაზაზე ჟურნალისტური გამოძიებების შესახებ აკადემიური ლიტერატურა ძალზედ მწირია და, ფაქტობრივად, არ იძებნება. ჩვენი ნაშრომი იქნება საფუძველი და ერთგვარი ორიენტირი მათთვის, ვინც სამომავლოდ მოცემული საკითხის შესწავლას გადაწყვეტს.

საკვანძო სიტყვები: საგამომიებო ჟურნალისტიკა, კორუფცია, დემოკრატიზაცია, ეთიკა, კანონდარღვევა, მხილება, გამოწვევები.

შესავალი

ძლიერი მედია დემოკრატიული ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი ინსტიტუტია. იგი შუამავალია საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის და შეუძლია მასობრივი აუდიტორიისთვის ხილულად აქციოს ის, რაც, ერთი შეხედვით, არ ჩანს, რისი დამალვაც მთავრობასა თუ ცალკეულ ძალებს პირადი სიკეთეების მისაღებად სურთ. მედია ხელისუფლების კონტროლის მექანიზმია, რომელსაც საზოგადოების ინფორმირებულობის, აზრის ფორმირებისა და ჩართულობის გაზრდის უდიდესი ძალა აქვს. აქედან გამომდინარე, ნათელია მისი როლი კორუფციის გამოვლენისა და პრევენციის საკითხშიც, სწორედ ძლიერი მედია ქმნის საზოგადოებას, რომელმაც კარგად იცის საკუთარი უფლებები და იბრძვის როგორც კორუფციის, ისე სხვა უკანონო ქმედების წინააღმდეგ, რათა როგორც მოქალაქემ, საკუთარი წვლილი შეიტანოს დემოკრატიული პროცესების სწორად წარმართვასა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებაში.

სიტყვა „კორუფცია“ ლათინურია და დამახინჯებას, გაფუჭებას ნიშნავს. კორუფცია თანამდებობისა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენებაა კანონით აკრძალული ქონებრივი ან სხვა სიკეთის მისაღებად, სარგებელი კი შეიძლება იყოს როგორც პირადი, ისე, ჯგუფური. მისი გამოვლინებებია მექრთამეობა, თაღლითობა, ფულის გათეთრება, სხვისი ქონების მიტაცება, ნეპოტიზმი და სხვა (თავისუფლების ინსტიტუტი, 2004).

ჩვენი კვლევა კიდევ უფრო აქტუალურია იმ ფონზე, რომ საქართველოსთვის კორუფცია კვლავ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. ქართული რეალობისთვის განსაკუთრებით ხშირი მოვლენა კი საჯარო სამსახურებში ნეპოტიზმის შემთხვევებია. 2023 წლის 31 იანვარს ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ გამოაქვეყნა კორუფციის განახლებული რეიტინგი, რომლის მიხედვითაც ჩვენი ქვეყანა, კორუფციის დონით, 41-ე ადგილს იკავებს. 100 ქულიანი შეფასების სისტემით, სადაც 100 ქულა კორუფციის ყველაზე დაბალ, ხოლო 0 ქულა ყველაზე მაღალ მაჩვენებელს ნიშნავს, საქართველო, 2022 წლის მონაცემებით 56 ქულით შეფასდა, 2021 წლის 55 ქულიანი შედეგი ერთი ქულით გაუმჯობესდა. ბუნებრივია, ერთი ქულა, ფაქტობრივად, არაფერს ნიშნავს, შესაბამისად, ინდექსი აჩვენებს, რომ ბოლო წლებში ამ კუთხით საქართველოში მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა.

ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ თქმით, კორუფცია ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, რომ 2022 წლის ივნისში საქართველომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი ვერ მიიღო. საკვლევ თემას მნიშვნელობას მატებს ისიც, რომ კანდიდატის სტატუსი უკვე გვაქვს და ევროპული მომავლისთვის ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, მათ შორის კორუფციასთან ბრძოლის კუთხით. ახლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არაერთი ინსტიტუტის და მათ შორის მედიის ჩართულობა, რათა კორუფციის შემთხვევები საგრძნობლად შემცირდეს.

კვლევის მეთოდოლოგია

საკვლევად გამოყენებულია თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდი, რამაც საშუალება მოგვცა გვეკვლია ჟურნალისტური გამოძიებები თემატური, სტრუქტურული, ეთიკური და ხარისხობრივი

კრიტერიუმებით. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, საკვლევი კითხვები ფორმულირდა შემდეგნაირად:

- როგორია საკვლევი ჟურნალისტური გამოძიებების თემები და ხარისხი? რამდენადაა დაცული ეთიკური ნორმები?
- რა წყაროებს ეყრდნობიან გამომძიებელი ჟურნალისტები საგამომძიებო ჟურნალისტური პროდუქტის შექმნის პროცესში? არის თუ არა ეს წყაროები სანდო და საჯარო?
- რამდენად ეფექტურია გაშუქებული მასალები კორუფციის პრევენციის, აღმოფხვრისა და დემოკრატიზაციის ხელშეწყობის მხრივ?
- რა სახის გამოწვევების წინაშე დგას ქართული საგამომძიებო ჟურნალისტიკა კორუფციასთან ბრძოლის კუთხით?

კონტენტ-ანალიზის შედეგად მიღებულ ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით, პასუხები გაეცა ჩამოთვლილ კითხვებს და გამოიკვეთა, თუ როგორ ასრულებენ საკვლევი ერთეულები კორუფციასთან ბრძოლის ფუნქციას. ამის დადგენაში დაგვეხმარა შერჩეული საგამომძიებო გადაცემების სოციალური ქსელის, კერძოდ FACEBOOK ანგარიშის მონიტორინგიც, რითაც დავადგინეთ, რამდენად აქტიური პლატფორმები აქვთ საკვლევი ობიექტებს და როგორ ცდილობენ, სოციალური ქსელის მეშვეობით, კიდევ უფრო მეტ ადამიანს შეატყობინონ აღმოჩენილი უკანონობისა და დარღვევების შესახებ.

გარდა კონტენტ-ანალიზისა, ჩატარდა ნახევრადსტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუები დარგის ექსპერტებთან, რომლებსაც საკვლევი საკითხში მრავალწლიანი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება აქვთ. ამ მეთოდის გამოყენების მიზანი გახლდათ იმის გაგება, თუ როგორ აფასებენ ექსპერტები ქართული საგამომძიებო ჟურნალისტიკის როლს კორუფციასთან ბრძოლაში და მათი აზრით რა არის საჭირო იმისთვის, რომ გამოძიებები უფრო ეფექტური და შედეგის მომტანი იყოს. ვინაიდან ჩვენ კონკრეტული ორი გადაცემა ვიკვლიეთ, ხოლო ისინი გაცილებით მეტ გადაცემას აკვირდებიან და კარგად იცნობენ ქართული საგამომძიებო ჟურნალისტიკის ზოგად ფონს, მივიჩნიეთ, რომ მათი ექსპერტული მოსაზრებები დაგვეხმარებოდა კვლევის შედეგების სწორ ინტერპრეტაციასა და განზოგადებაში. ინტერვიუსთვის შევარჩიეთ სამი ექსპერტი, რომლებსაც დაესვათ შემდეგი კითხვები:

- რამდენად შედეგიანია ქართული ჟურნალისტური გამოძიებები კორუფციის მხილების და აღმოფხვრის საკითხში?
- რა ძირითადი ხარვეზები იკვეთება კორუფციასთან დაკავშირებულ ჟურნალისტურ გამოძიებებში და რა მიზეზებითაა განპირობებული ისინი?
- რა უნდა გაითვალისწინოს გამომძიებელმა ჟურნალისტმა რომ გაუმკლავდეს არსებულ გამოწვევებს და მის მიერ შექმნილი მედიანაწარმი ეფექტურად მოქმედებდეს კორუფციის წინააღმდეგ?

ექსპერტებმა შეაფასეს ჟურნალისტური გამოძიებების ხარისხი და ეფექტურობა, გამოყვეს ძირითადი პრობლემები და ამ პრობლემების გამომწვევი მიზეზები. ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუს შედეგებს უფრო დეტალურად ქვემოთ გაგაცნობთ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უშუალოდ კონტენტ-ანალიზის დაწყებამდე დავამუშავეთ საჭირო დოკუმენტები და მიმოვიხილეთ არსებული ლიტერატურა, რამაც მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია საკვლევე საკითხის სრულფასოვნად და სიღრმისეულად შესწავლაში.

რაც შეეხება შერჩევას, გამოვიყენეთ არაალბათური შერჩევის მეთოდი, რაც იმას ნიშნავს, რომ საკვლევე ობიექტები კვლევის მიზნიდან გამომდინარე შეირჩა. საკვლევადა ავიღეთ საზოგადოებრივი მაუწყებლის „გამომძიებელი რეპორტიორისა“ და „სტუდია მონიტორის“ ჟურნალისტური გამოძიებები. „გამომძიებელი რეპორტიორის“ შემთხვევაში, საინტერესოა, თუ რამდენად ორიენტირებულია იგი კორუფციის აღმოფხვრაზე, მითუმეტეს, რომ ქვეყნის საზოგადოებრივ მაუწყებელს დემოკრატიის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია. რაც შეეხება „სტუდია მონიტორს“, იგი კერძო ორგანიზაციაა და რაიმე კანონით განსაზღვრული ვალდებულებები არ აქვს, რაც კიდევ უფრო დიდ ინტერესს ბადებს იმისა, თუ რამდენად ხარისხიანად ასრულებს მედიაორგანიზაცია თავის საქმეს. ამ გადაცემის შერჩევის მიზანია ისიც, რომ მისი ფორმატი, ქართულ მედიაბაზარზე არსებული ჟურნალისტური გამოძიებებისგან განსხვავებით, შედარებით უფრო მეტად ჰგავს „გამომძიებელ რეპორტიორს“, არცერთ მათგანს საეთერო ბადეში მკაცრად განსაზღვრული დრო არ აქვს და გადის მაშინ, როცა ჯგუფი გამოძიებას მოამზადებს. შერჩევის კრიტერიუმად პერიოდულობის გამოყენება განპირობებულია იმ მარტივი მიზეზით, რომ ხარისხიანი ჟურნალისტური გამოძიება ღრმა და მრავალმხრივი მასალაა, რომლის მოსამზადებლადაც, როგორც წესი, ერთი და ორი კვირა საკმარისი დრო არ არის, შესაბამისად შევარჩიეთ გადაცემები, რომლებიც გამოძიებას დიდ დროს უთმობენ და მედიაპროდუქტს მხოლოდ მაშინ უშვებენ, როცა იგი დასრულებულ სახეს იღებს.

ლიტერატურის მიმოხილვა

საკითხის უკეთ შესასწავლად, კვლევის დაწყებამდე არსებული უცხოური და ქართული აკადემიური მასალები მიმოვიხილეთ. ნაშრომების შესწავლამ კიდევ უფრო ნათლად გვაჩვენა, როგორც საგამომძიებო ჟურნალისტიკის არსი და მიზნები, ისე საერთაშორისო ტენდენციები და სამომავლო პერსპექტივა, კორუფციასთან ბრძოლის კუთხით.

ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენდა უშუალოდ ისეთი აკადემიური ლიტერატურა, რომელშიც კორუფციასთან ბრძოლა და დემოკრატიის ხელშეწყობაა ხაზგასმული. აღნიშნულის შესახებ არაერთი უცხოელი ექსპერტის აკადემიური ნაშრომი იძებნება, თუმცა თვალშისაცემია ქართული მასალების სიმწირე, არამხოლოდ კორუფციის ჭრილში, არამედ ზოგადად ჟურნალისტური გამოძიებების შესახებ.

„გამომძიებელი ჟურნალისტი არის კაცი, ან ქალი, რომლის პროფესიაც სიმართლის აღმოჩენა და ხარვეზების იდენტიფიცირებაა. ამ საქმეს ზოგადად საგამომძიებო ჟურნალისტიკა ქვია და განსხვავდება პოლიციის, იურისტების, აუდიტორებისა და მარეგულირებელი ორგანოების აშკარად მსგავსი საქმიანობისგან იმით, რომ არ არის შეზღუდული სამიზნეობით, არ არის

იურიდიულად დაფუძნებული და ძირითადად, მედიის მფლობელის მიერ ფინანსდება“ (De Burg H, 2008, გვ10).

საგამომიებო ჟურნალისტური პროდუქტი ჟურნალისტის პირადი ინიციატივით გაშუქებული ის მასალაა, რომელიც მსმენელის, მკითხველისა და მაყურებლისთვის საინტერესო თემას ეხება. ხშირ შემთხვევაში ისეთი ამბებია გამოკვლეული, რომელთა გახმაურებაც არ სურთ (Weinberg. S. 1996). ამგვარი დამალული დანაშაულების გამოაშკარავების არაერთი საინტერესო მაგალითი არსებობს, როგორც მსოფლიო, ისე ქართულ რეალობაში.

„საგამომიებო ჟურნალისტიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციული დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებაში“- ვკითხულობთ „ჟურნალისტ-გამომიებლის სახელმძღვანელოში“ (ჰიუსტონი, 2011), რომელშიც ავტორი დემოკრატიისა და მედიის ურთიერთდამოკიდებულებას სიღრმისეულად მიმოიხილავს. მისი თქმით, გამომიებელი ჟურნალისტი გავლენიანი ადამიანების უკანონო ქმედებებს აკონტროლებს და მათ საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულს ხდის. გარდა ამისა, ინფორმირების მეშვეობით, ადამიანებს გონივრული გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება.

საკვლევ საკითხზე მნიშვნელოვან ცოდნას გვაწვდის წიგნი „საგამომიებო ჟურნალისტიკა: კონტექსტი და პრაქტიკა“, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ავტორის რამდენიმე სამეცნიერო სტატიას და სიღრმისეულად იკვლევს საგამომიებო ჟურნალისტიკის ისტორიას, მეთოდოლოგიასა და ეთიკას. ნაშრომში ვკითხულობთ, რომ საგამომიებო ჟურნალისტიკამ თავისი არსებობის განმავლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მთავრობების დამხობაში, პოლიტიკოსების დაპატიმრებაში, კანონმდებლობის გააქტიურებასა და მართლმსაჯულების შეცდომების გამოვლენაში. ეს ყოველივე სწორედ ჟურნალისტურ გამოძიებებს მოჰყვებოდა შედეგად, ვინაიდან სწორედ გამომიებელ ჟურნალისტებს შეუძლიათ მხარი დაუჭირონ სიმართლეს, დღესაც კი, როცა მანკიერება და სენსაციალიზმი ყოფილი მაღალზნეობრივი მედიის მთავარი ელემენტია (De Burgh H & others, 2008).

კორუფცია ეროვნული ზრდისთვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს, სათანადოდ წარმართულ ჟურნალისტურ გამოძიებას კი შეუძლია შეამციროს მაინც, თუ სრულად არ გააქრობს კორუფციის შემთხვევებს (Suntai D & Shem W, 2018). უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენების მცდელობების გამოსავლენად ხშირად ჟურნალისტებს შეზღუდვების პირობებში უწევთ მუშაობა და სერიოზულ რისკებზეც მიდიან იმისთვის, რომ დამნაშავე ამხილონ (Moene K & Soreide T, 2019). გამომიებელ ჟურნალისტთა ეთიკაზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ, თუ რა სირთულეები განასხვავებს საგამომიებო ჟურნალისტიკას ახალი ამბების ჟურნალისტიკისგან. იქედან გამომდინარე, რომ სიმართლის ძიება მარტივი არ არის და მათ ამისთვის რთული გზის გავლა უწევთ, ხშირად ამ გზაზე შეიძლება ეთიკის ნორმები დაირღვეს. ეს მაშინაა გამართლებული, როცა დამნაშავეების გამოსავლენად სხვა გამოსავალი აღარ რჩება. (Tapsall S, Phillips G, 2002).

საგამომიებო ჟურნალისტიკას თავისი განვითარების ისტორია აქვს. გლობალიზაციის, საერთაშორისო დახმარებისა და ჟურნალისტური ძალისხმევის შედეგად, საგამომიებო გაშუქების პრაქტიკა მკვეთრად გაიზარდა 1989 წელს კომუნისტური პარტიის დაცემის შემდეგ. საგამომიებო

ჟურნალისტიკის ყურადღება საჯარო ანგარიშვალდებულებებმა, დანაშაულისა და კორუფციის მიზანმიმართულობამ და დემონსტრირებულმა ქმედებებმა მიიპყრო. საგამოძიებო ჟურნალისტიკა მიიჩნევა მნიშვნელოვან ძალად, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიზაციის ხელშეწყობის საკითხში (E Kaplan. D, 2013).

დამუშავებულ მასალებში, ჟურნალისტური გამოძიებების ონლაინ მედიის მეშვეობით გავრცელებაზე დიდი ყურადღებაა გამახვილებული. ერთ-ერთი ასეთი სტატიაა „საგამოძიებო ჟურნალისტიკა და ბლოგები“ (Bradshaw.P, 2008). ავტორი ამბობს, რომ თანამედროვე მედიატექნოლოგიები, საგამოძიებო ჟურნალისტიკაში მნიშვნელოვან ინსტრუმენტად იქცა, ახალი მედიის განმეორებითი ხასიათი ჟურნალისტების საქმიანობას უფრო გამჭვირვალეს ხდის და საზოგადოების მხრიდან მედიის მიმართ ნდობის აღდგენის შესაძლებლობას იძლევა.

რაც შეეხება ქართულ სამეცნიერო ნაშრომებს, როგორც უკვე აღინიშნა, ქართულად საგამოძიებო ჟურნალისტიკის ირგვლივ აკადემიური მასალა, ფაქტობრივად, არ გვხვდება. იმ მწირი მასალიდან, რომელიც ინტერნეტრესურსებით იძებნება, ერთ-ერთი და მეტად მნიშვნელოვანი გახლავთ „საგამოძიებო ჟურნალისტიკის განვითარების ტენდენციები საქართველოში“ (მემანიშვილი მ, 2020). ნაშრომის მიზანია ბეჭდურ, ონლაინ და სატელევიზიო მედიაში საგამოძიებო ჟურნალისტიკის ტენდენციებზე დაკვირვება. კვლევის შედეგში ვკითხულობთ, რომ „საქართველოში მედიაგარემოს გაუმჯობესების მიუხედავად, საგამოძიებო ჟურნალისტიკა სუსტდება“. ავტორი საუბრობს მიკერძოებულობაზე, სამომავლოდ მედიაში პოლიტიკური ფულის კიდევ უფრო მატებასა და თავისუფალი ჟურნალისტიკის შესუსტებაზე.

„სტუდია მონიტორი“

კერძო ჟურნალისტური საგამოძიებო მედიაორგანიზაცია „სტუდია მონიტორი“ ამზადებს ჟურნალისტურ გამოძიებებს, რომლებიც „მთავარი არხის“ ეთერში გადის. გარდა ამისა, აქვს ცალკე განყოფილება „თავისუფლების მონიტორი“, რომლის გამოძიებებიც „რადიო თავისუფლების“ ვებგვერდზეა განთავსებული.

საკვლევი პერიოდის განმავლობაში „სტუდია მონიტორი“ აქტიურად იძიებდა როგორც მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებულ საკითხებს, ისე ძველ, გასაიდუმლოებულ ამბებსაც, გარდა ამისა, გვთავაზობდა ძველი გამოძიებების ახლებურ ვერსიებს, ახალი დეტალებით. საკვლევ პერიოდში მოხვედრილი მასალების კონტენტ-ანალიზმა გვაჩვენა, რომ გამოძიებებში დაცული იყო ეთიკური სტანდარტები, ჟურნალისტები მონაცემების მოპოვების სწორ გზებს იყენებდნენ, პირადი მოსაზრებების ნაცვლად, წარმოდგენილი იყო ნამდვილი ფაქტები, სწორედ ფაქტებით გვესაუბრებოდნენ და გვიყვებოდნენ კორუფციის შემთხვევებზე. ეს მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ჟურნალისტური გამოძიება არ შეიძლება დაფუძნებული იყოს მხოლოდ ვარაუდებსა და მოსაზრებებზე, ყველაფერს შესაბამისი მტკიცებულება სჭირდება.

აღსანიშნავია, რომ საკვლევ პერიოდში მოხვედრილ გადაცემებში არ შეიმჩნეოდა მიკერძოება რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიმართ, გამოძიებები მიმართული იყო ხელისუფლების

კონტროლისკენ და გადაცდენების აღმოჩენისკენ, ეს კი მედიის მხრიდან ე. წ. „მოდარაჯე ძაღლის“, მაკონტროლებლის ფუნქციის შესრულებაზე მიუთითებს. ამასვე ადასტურებს შერჩეული თემების მნიშვნელობა, აქტუალურობა და მრავალმხრივობა. თემატიკიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ ორგანიზაციამ ზუსტად იცის, სად უნდა ეძიოს დარღვევები და ამას სწორი, ეთიკური გზებით აკეთებს.

„სტუდია მონიტორის“ გამოძიებების დიდ ნაწილს სწორედ კორუფციამდე მივყავართ, კორუფციაა ის, რის გამოვლენასაც ასე აქტიურად ცდილობს მედიაორგანიზაცია და ახერხებს კიდეც ამას. მასალების ანალიზმა აჩვენა, რომ აღნიშნული ჟურნალისტური გამოძიებები ხარისხიანი და, გარკვეულწილად, ეფექტურია კორუფციის გამოვლენის კუთხით, ვინაიდან გამოძიებებში მხილებულია არაერთი პიროვნება და კონკრეტული შემთხვევები. რაც შეეხება ხარისხს, ამის საზომად კვლავ ეთიკა გამოვიყენეთ, გადაცემას ხარისხიანს ვუწოდებთ, ვინაიდან საკვლევ პერიოდში არ დაფიქსირებულა მკვეთრი ეთიკური დარღვევები, როგორებიცაა ტყუილი, ფაქტისა და მოსაზრების არევა, პიროვნების განზრახ დისკრედიტირება, სექსიზმი, უფლებების შელახვა და ა. შ.

ვინაიდან ჩვენი კვლევა თვისებრივია, სრული სურათის დასანახად, ანდა დასკვნების გამოსატანად არაა აუცილებელი ყველა გამოძიების დეტალური განხილვა, ეს, ფაქტობრივად, შეუძლებელიცაა სტატიის ფორმატიდან გამომდინარე, შესაბამისად, მაგალითების სახით გთავაზობთ კონტენტ-ანალიზის მეთოდით დამუშავებული მასალიდან რამდენიმე გამოძიებას, რომლებიც ყველაზე უკეთ წარმოადგენენ იმ ძირითად მიგნებებს, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ და გარდა ამისა, ასახავენ თუ რამდენად ეფექტურია „სტუდია მონიტორის“ გამოძიებები კორუფციის აღმოფხვრისა და პრევენციის კუთხით.

- „ანტონ ობოლაშვილის არადეკლარირებული ქონება“, 09.07.2023- გამოძიებაში წარმოდგენილია თუ როგორ არასწორადაა შევსებული პარლამენტარის ქონებრივი დეკლარაცია. ვიგებთ, რომ სინამდვილეში მას აქვს პარიზში პარკინგის ადგილი, რომელიც 58000 ევროდ შეიძინა, ხოლო დუბაიში 1 200 000 დოლარად შეძენილი აპარტამენტები. გამოძიებაში დაცულია ეთიკის ნორმები, ჟურნალისტი იყენებს ინფორმაციის მოპოვების კანონიერ გზებს. მის მიერ გამოყენებული წყარო საჯარო ინფორმაცია, კონკრეტულად კი თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციაა. სწორედ საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით გვატყობინებს, რომ დეპუტატს დეკლარაციაში არც დუბაიში შეძენილი ბინები ჩაუწერია. ხოლო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ბინები მართლაც ანტონ ობოლაშვილს ეკუთნის, გაჟღერდა დოკუმენტზე დაყრდნობით, რომელიც ვაშინგტონში არსებულმა, საერთაშორისო კონფლიქტების მკვლევარმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, „C4EDS“-მა მოიპოვა. ჟურნალისტმა კანონდარღვევის შესახებ კითხვები დაუსვა თავად ანტონ ობოლაშვილსაც, სწორედ ეს გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა მიეცა ყველა მხარეს და მასალა დაბალანსებულია. როგორც გამოიკვეთა, ავტორი იყენებს ოფიციალურ წყაროებს, საჯარო ინფორმაციას და ცნობების მოპოვების კეთილსინდისიერ გზებს.

ჟურნალისტის თქმით, „სტუდია მონიტორმა“ დეკლუტატზე ჟურნალისტური გამოძიება 2021 წელსაც ჩაატარა, რა დროსაც ფარული ჩაწერის მეთოდის გამოყენებით, ანტონ ობოლაშვილი ექიმების მოსყიდვაში ამხილეს. მართალია ეს გამოძიება ჩვენს საკვლევ პერიოდს არ ეკუთვნის, თუმცა უნდა აღინიშნოს, მიუხედავად იმისა, რომ ფარული ჩაწერა ხშირ შემთხვევაში არაეთიკურია, ამ კონკრეტულ საქმეში აღნიშნული მეთოდი არ მიიჩნევა არაეთიკურად, ვინაიდან საქმე ექიმების მოსყიდვას, ადამიანთა ჯანმრთელობას ეხებოდა, ხოლო ფარულად ჩაწერა დანაშაულის გამოამჟღავნების ერთადერთი გზა იყო.

- „რკინიგზის დაკარგული შემოსავლები და დირექტორის დამალული სიმდიდრე“, 30.09.2023 – „სტუდია მონიტორი“ ააშკარავებს რკინიგზის ხელმძღვანელის, დავით ფერაძის არადეკლარირებულ ძვირადღირებულ ნივთებს, დამალულ სიმდიდრეს, რომელიც მის ოფიციალურ შემოსავლებს არ შეესაბამება და რკინიგზის მენეჯმენტში მნიშვნელოვან ფინანსურ დარღვევებზე მიუთითებს. ირკვევა, რომ მან სარკინიგზო ტვირთების გადაზიდვები უახლოეს მეგობარს ჩააბარა. გამოძიება სიღრმისეულია და დეტალურად გვიყვება ნეპოტიზმზე, რომელიც რკინიგზის რესტავრაციის ირგვლივ ტრიალებს. ამ შემთხვევაში ძალაუფლებას არაკანონიერად იყენებს დავით ფერაძე და გამოძიების მთავარი სამიზნეც ის გახლავთ. ჟურნალისტი იყენებს საჯარო ინფორმაციას, კერძოდ ქონების დეკლარაციას, აგრეთვე, სტატისტიკურ მონაცემებს და არქივს. გარდა ამისა, გამოძიებაში მოცემულია რკინიგზის მშენებლობით დაზიანებული სოფელ ზვარეს მაცხოვრებელთან ჩაწერილი ინტერვიუ. წყაროთა მრავალფეროვნება, ბალანსი, ეფექტური კითხვები და მხილების კანონიერი მეთოდები აღნიშნული გადაცემის ეთიკურობას განაპირობებს. აღსანიშნავია ისიც, რომ მასალაში მოცემულია ექსპერტების, კონკრეტულად კი ეკონომისტისა და „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ანალიტიკოსის მოსაზრებები. ჟურნალისტურ გამოძიებაში ექსპერტთა ჩართვა სწორი გადაწყვეტილებაა, ვინაიდან ეს ნაბიჯი ზრდის სანდოობას და ეფექტურობას.

ამავე თემას ეხება „ნეპოტიზმი რკინიგზაში“ 01.11.2023- ეს კონკრეტული გამოძიებაც დავით ფერაძის ირგვლივ ტრიალებს და გვაჩვენებს, როგორ დაასაქმა მან თავისი ოჯახის წევრების ბიზნესპარტნიორები. ის ფაქტი, რომ „სტუდია მონიტორი“ ამ პიროვნების მიერ კანონდარღვევის ერთხელ გამუქებით არ შემოიფარგლა და ახალ დეტალებს ახალი გამოძიება დაუთმო, კორუფციასთან ბრძოლაზე მიუთითებს.

- „მძიმე ჯვარი“, 08.06.2023- გამოძიება ეხება მცხეთის ჯვრის სარესტავრაციო სამუშაოებს, რომელსაც, გამოძიების თქმით, პროფესიონალთა ჯგუფი ჩამოაშორეს. გადაცემაში ნაჩვენებია თუ რა მძიმე დგომარეობაშია ჯვარი და დაყენებულია ძეგლთა დაცვის სამინისტროს პასუხისმგებლობა. ჟურნალისტი კვლავ საჯარო ინფორმაციას იყენებს, ტენდერების კვლევით არკვევს თუ როგორ მოიპოვა ძეგლის კონსერვაციის უფლება „ჩუბინაშვილის კვლევითმა ცენტრმა“, რომელსაც არაერთი მსგავსი პროექტი ჰქონდა შესრულებული. თუმცა, მიუხედავად ამისა, საქმე მსგავსი გამოცდილების არმქონე კომპანიას, „შპს კონექს“ ჩააბარეს. ცხადია გამომძიებელი ჟურნალისტი აქ არ ჩერდება და იძიებს, რომ აღნიშნულ კომპანიას ყველა ტენდერი კონკურსის გარეშე აქვს მოგებული,

რასაც ცხადია კორუფციამდე მივყავართ. იგი გაესაუბრა არაერთ ექსპერტს, მათ მოსაზრებებსა და საჯარო ინფორმაციაზე დაყრდნობით კი დაადგინა, რომ კომპანია, რომელსაც ტენდერი უსაფუძვლოდ მოაგებინეს, დაკისრებულ ვალდებულებას ვერ ასრულებს და ჯვრის ტამარი საფრთხეშია.

- „სახელმწიფოს მილიონები „ჯორჯიან ეარვეისის“ გადასარჩენად“, 30.11.2023- გამოძიებიდან ვიგებთ, რომ ეს არის ქართული ავიაკომპანია, რომელიც რუსეთიდან პირდაპირი ფრენების აღდგენას მოითხოვდა. სახელმწიფო კომპანია „საქაერონავიგაციამ“, კონკრეტულად კი, გოჩა მეზვრიშილმა, ავიაკომპანიის თანამშრომელს, თამაზ გაიაშვილს, მილიონობით ლარის დავალიანება აპატია, მაშინ, როცა ის თავის შვილთან, ირაკლი მეზვრიშვილთან ერთად ბიზნესს აწყობდა. „სტუდია მონიტორმა“ გამოავლინა გოჩა მეზვრიშვილის დანაშაული, რომელმაც საკუთარი ძალაუფლება უკანონოდ გამოიყენა და გაიაშვილის ვალი გააუქმა. ჟურნალისტიმა მოიპოვა საჯარო ინფორმაცია „ჯორჯიან ეარვეისის“ მეწილეების შესახებ, აგრეთვე კომპანიის მიერ სასამართლოში წარდგენილი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მას რამდენიმე მილიონიანი ვალი ჰქონდა. სწორედ არსებული დოკუმენტების ანალიზითა და ექსპერტთა დახმარებით მოახერხა ჟურნალისტიმა კორუფციის შემთხვევის ეთიკური გამოძიება და მხილება.
- “გაყიდული გუდიაშვილის “ახალი სიცოცხლე”, 27.04.2024- გუდიაშვილის მოედნის აღდგენაზე მილიონობით ლარი დაიხარჯა, გამოძიებიდან კი ვიგებთ, რომ რეაბილიტაციის შემდგომ, ისტორიული შენობები კახა კალაძის მეჯვარის, ივანე წულაიას ბიზნესჯგუფის საკუთრებაში უპირობო აუქციონის მეშვეობით აღმოჩნდა. ჟურნალისტი დაეყრდნო საჯარო ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც გაირკვა, რომ მერიის მიერ გამოცხადებულ აუქციონში მონაწილეობა მხოლოდ ერთმა კომპანიამ, “შპს მოლინვეს ჯგუფმა” მიიღო. გარდა ამისა, მან მოიპოვა ცნობები კომპანიის მფლობელ კახაბერ კობა ივანოვზე და დაადგინა, რომ ის და მისი ბიზნესპარტნიორი “ქართული ოცნების” შემომწირველები არიან. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტი არ აჟღერებს უსაფუძვლო ბრალდებებს, იგი ნაბიჯ-ნაბიჯ მიყვება საჯარო ინფორმაციას და ცდილობს ეთიკურად დაადგინოს რა გახდა გუდიაშვილის გასხვისების საფუძველი.
- “ოცნების ჩინოვნიკის ევროპული ცხოვრება”, 6.04.2024- “სტუდია მონიტორი” გამოძიება გვიყვება, რომ ოცნების ჩინოვნიკს, რომეო მიქაუტაძეს არადეკლარირებული ქონება აქვს, მისმა მეუღლემ კი ესპანეთის დედაქალაქის ისტორიულ უბანში ბინა შეიძინა. არადეკლარირებული ქონება პირდაპირ მიუთითებს დარღვევაზე, დარღვევის გამოვლენა და უკანონობის წინააღმდეგ ბრძოლა სწორედ ჟურნალისტური გამოძიების დანიშნულებას, ამ დანიშნულებას კი აღნიშნული გამოძიება კარგად ასრულებს. ჟურნალისტი იყენებს, როგორც საჯარო ინფორმაციას, ისე სხვადასხვა კერძო საიტს, რომელთა მიხედვითაც ცდილობს ჩინოვნიკის მეუღლის ბინის მიახლოებული ღირებულება დაადგინოს. ჟურნალისტური გამოძიება საკმაოდ მოცულობითია და მასში განხილულია რომეო მიქაუტაძის ოჯახთან დაკავშირებული არაერთი კომპანია, რომლებმაც ჰიდროელექტროსადგურების აშენების უფლება სწორედ იმ პერიოდში მოიპოვეს, როცა იგი

მინისტრის მოადგილე და ენერჯეტიკის სფეროს კურატორი იყო. მაგალითად ჟურნალისტი გვთავაზობს საჯარო ინფორმაციას “შპს ნახიდური ჰესის” შესახებ, რომლის 50%-იანი წილი ჩინოვნიკის ძმის ცოლმა შეიძინა. გამოძიების შედეგებს ჟურნალისტი ანალიზებს ექსპერტთან ერთად, რომელიც ასკვნის, რომ აღნიშნული საკითხი კორუფციის გამოვლინებაა.

- “ელგრინი”, 12.05.2024- გამოძიება გვაცნობს “აგენტების შესახებ კანონის”, ე. წ. “რუსული კანონის” მხარდამჭერის, სულხან პაპაშვილის არაკანონიერ ქონებას, რომელიც მოიცავს სახლს ლონდონში და მილიონობით დოლარის შემოსავალს დენის იმპორტიდან. როგორც წინა მაგალითების შემთხვევაში, ჟურნალისტი აქაც საჯარო ინფორმაციას და ექსპერტთა მოსაზრებებს იყენებს. სულხან პაპაშვილის შესახებ ჟურნალისტური გამოძიება “სტუდია მონიტორმა” ოთხი წლით ადრე, 2020 წელსაც გააკეთა, მაშინ, როცა ანონიმურმა წყარომ ჟურნალისტს მიუტანა ფურცელი, რომელზეც ეწერა მხოლოდ ერთი სიტყვა-“ელგრინი”. წყაროს თქმით, კომპანიის შესახებ ინფორმაციას სახელმწიფო მალავდა, ელგრინი კი აზერბაიჯანულ დენს საქართველოში ყიდდა. ჟურნალისტ გამომძიებელთა ჯგუფმა არ დაივიწყა დამნაშავე და ოთხი წლის შემდეგ კვლავ გამოაშკარავა იგი.

მოცემულ მაგალითებზე დაყრდნობით, კარგად ჩანს, რომ „სტუდია მონიტორი“ ავლენს უკანონობას და შესაბამისად, კორუფციის მხილების კუთხით, აქტიურად მუშაობს. ეს მხოლოდ რამდენიმე მაგალითია იმის დასადასტურებლად, თუ როგორია საკვლევი ობიექტის გადაცემები.

ჩვენი კვლევის ერთ-ერთ ინტერესის საგანს საკვლევი ობიექტის სოციალურ ქსელ FACEBOOK- ზე დაკვირვება წარმოადგენდა. საგამომიებო ჟურნალისტიკის მიზანი ხომ საზოგადოების ინფორმირება, მათი ჩართულობის გაზრდა და დამნაშავის შესახებ აუდიტორიამდე ინფორმაციის მიტანაა. დღეს სოციალური ქსელი კომუნიკაციის უწყვეტ საშუალებად იქცა, მასზე გამოძიებების განთავსება კი უზრუნველყოფს, რომ მხილებული დამნაშავისა და აღმოჩენილი სიმართლის შესახებ კიდევ უფრო მეტმა ადამიანმა შეიტყოს. შესაბამისად, საგამომიებო თემატიკაზე მომუშავე მედიასაშუალებას სოციალური მედიის გამოყენება სიმართლის გასავრცელებლად გამოადგება. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ „სტუდია მონიტორი“ აქტიურად აზიარებს გამოძიებებს სოციალურ ქსელებში, თანაც ამისთვის მრავალფეროვან ვიზუალურ და ტექსტუალურ ხერხებს იყენებს. ერთი კონკრეტული გადაცემა არ იდება მხოლოდ ერთხელ, არამედ სრულად გასვლამდე საიტზე თავსდება გამოძიების ნაწყვეტები, რომლითაც სრული მასალა ანონსდება. პოსტების განთავსება არ წყდება გამოძიების ეთერში გასვლის შემდეგაც. მეტიც, აზიარებენ თვეების წინ დადებულ ჟურნალისტურ გამოძიებებს, რითაც აუდიტორიას კიდევ ერთხელ შეახსენებენ უკანონობის ჩამდენთა სახელებს. ამის მაგალითია 2023 წლის 16 თებერალს დადებული პოსტი, რომელიც იმავე წლის 31 ოქტომბერს გაზიარდა. „სტუდია მონიტორმა“ მაყურებელს გაზიარებული პოსტის აღწერაშიც შეახსენა, რომ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრ ირაკლი ბერაიას მივლინებებში 2021-2022 წლებში 78000 ლარზე მეტი დაიხარჯა.

ზემოთ მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე, სოციალურ ქსელში აქტივობის მიხედვით, „სტუდია მონიტორი“ საკმაოდ კარგად მუშაობს. შეიძლება ითქვას, რომ გამოძიებების შესახებ

ხშირად განთავსებული პოსტებით, მათზე კომენტარების დატოვებისა და გაზიარების შესაძლებლობით, ის ჩართულობას, ინტერაქციასა და დემოკრატიზაციის ხარისხს ზრდის.

მიუხედავად იმისა, რომ სტუდია მონიტორი ხარისხიან და შედეგზე ორიენტირებულ გამოძიებებს გვთავაზობს, მათ მიერ მხილებული პიროვნებები დღესაც აქტიურად აგრძელებენ მათზე დაკისრებული სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებას. ცხადია ეს კომპლექსური პრობლემაა და ხშირად, მხოლოდ ჟურნალისტური გამოძიება საკმარისი არ არის მათ დასასჯელად, თუმცადა, თავის მხრივ, სტუდია მონიტორიც კიდევ უფრო აქტიურად უნდა ცდილობდეს ბოლომდე მიყვეს საქმეს, მანამ, სანამ დამნაშავე პირის პასუხისგებას არ გამოიწვევს.

„გამომძიებელი რეპორტიორი“

„გამომძიებელი რეპორტიორი“ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტია, რომელიც 2014 წლის ოტომბრიდან დაიწყო. აღწერაში ვკითხულობთ, რომ მისი მიზანია „საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დაფარული ფაქტებისა და მხარეების ძიება და გამოვლენა“. აღწერა გვეუბნება იმასაც, რომ ძიებისას დაცულია მოქმედი კანონმდებლობა და ჟურნალისტური ნორმები.

საკვლევ პერიოდში „გამომძიებელმა რეპორტიორმა“ მოამზადა ექვსი ჟურნალისტური გამოძიება, გთავაზობთ რამდენიმე მათგანს.

- „კოვიდის სტატისტიკები, კოვიდთან დამარცხებული ადამიანების ისტორია“, 15.02.23 - მოცემულია 20 წლის კოვიდპაციენტის, ვახტანგ ჩარკვიანის გარდაცვალების ისტორია, გვიყვებიან, რომ მას გარკვეული კვლევები არ ჩაუტარდა და ყველა საჭირო მედიკამენტი არ გაუკეთდა. მთავარ დამნაშავედ კლინიკა და მედპერსონალია წარმოდგენილი. ჟურნალისტები ეყრდნობიან ინფორმაციის მოპოვების ეთიკურ გზებს, არ გვხვდება გამოგონილი ფაქტები და სუბიექტური მოსაზრებები, ყველაფერი, რასაც გამოძიებაში ვისმენთ, საჯარო ინფორმაციის, მოპოვებული დოკუმენტების და ექსპერტთა მოსაზრებების მიხედვითაა ნათქვამი. ფილმი საკმაოდ ემოციური, თუმცა დაბალანსებული და საინტერესო ჟურნალისტური ნაშრომია.
- „თბილისი-ქალაქი მიწისძვრის ზონაში“, 10.05.23- რეპორტიორები იძიებენ თბილისის სეისმურ მდგომარეობას და შენობებისა და ახალი მშენებლობების მასთან შესაბამისობას. ნათქვამია, რომ ხელისუფლება საგანგაშო რეალობას თვალს არიდებს, ეკონომიკის სამინისტრო კი სეისმური საშიშროების რუკის მიღებას აბრკოლებს. ჟურნალისტი იყენებს არამხოლოდ სახელმწიფო საჯარო საიტებზე განთავსებულ ინფორმაციას, არამედ ცდილობს გამოითხოვოს ოფიციალური ცნობები თბილისის მერიიდან იმის თაობაზე, ჩატარდა თუ არა კონკრეტული ბინების რესტავრაცია პროექტების მიხედვით, თუმცა მერიიდან იღებს პასუხს, რომ მითითებულ მისამართებზე მიშენების ან დაშენების შესახებ ინფორმაცია მათთან არ შესულა. გამოძიება ეხება აქტუალურ თემას და მოსალოდნელი ზიანის პრევენციას ისახავს მიზნად, რაც ნამდვილად დადებითი ნაბიჯია.

- „უვადო პატიმარი რკინის ალიბით“, 19.04.2024- გამოძიება ეხება ჯარისკაცის პატიმრობას, რომელიც მკვლელობის პროცესში კარანტინში იმყოფებოდა. გამოძიებიდან ვიგებთ, რომ განაჩენი ერთი მოწმითა და ნივთმტკიცების გარეშე გამოიტანეს. ჟურნალისტები იყენებენ არქივში არსებულ ინფორმაციას, ვინაიდან ამბავი 19 წლის წინ მოხდა და ბრალდებულის სწორედ 19 წელია სასჯელს იხდის. გვიყვებიან, რომ იარაღი, რომლითაც მკვლელობა მოხდა ხუთი დღე ბაზაში, უკონტროლოდ ინახებოდა და მისი გამოყენებით მკვლელობის ჩადენა სხვასაც შეეძლო. გამოძიებას განსაკუთრებით საინტერესოს ხდის ის ფაქტი, რომ საკითხი ძველია, თუმცა ჯგუფს სურს წლების მერე მაინც გაირკვეს სიმართლე. თანაც ამას ეთიკურობით, მრავალმხრივი ინფორმაციითა და ექსპერტების მოსაზრებებით ახერხებენ.

თავდაპირველად, უნდა აღინიშნოს, რომ საკვლევ პერიოდში გასული გადაცემები ნამდვილად ეთიკური სტანდარტების დაცვით იყო მომზადებული. ინფორმაციის მოპოვების გზები და ყველა ნაბიჯი, რომელიც რეპორტიორმა ძიების პროცესში გადადგა, ფილმში არგუმენტირებულად და დასაბუთებულადაა მოცემული. კონკრეტულად ამ ექვს მასალაში არ შეიმჩნევა მიკერძოება, ხელისუფლების მიმართულებით დასმულია კრიტიკული კითხვები, მეორე ფილმში გამოძიება უმთავრეს პასუხისმგებლობას სამინისტროებსაც კი აკისრებს.

შერჩეული თემები ნამდვილად აქტუალური და მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის, თუმცა კავშირი არ აქვს კორუფციასთან. რეპორტიორებს ყურადღების მიღმა რჩებათ არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, მათ შორის ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, უკანონო ქონების დაგროვება, დეკლარაციების გაყალბება და ა. შ. დაკვირვებისას „გამომძიებელ რეპორტიორში“ მსგავსი შინაარსის გამოძიებები არ მოიძებნა. წელიწადზე მეტხინან საკვლევ პერიოდში 6 ჟურნალისტური გამოძიება ცოტაა იმ ფონზე, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელს საზოგადოების წინაშე დიდი როლი აკისრია, მასზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული დემოკრატიზაციის პროცესი. მაყურებელზე გავლენის მოხდენისთვის ეტაპობრივი, ხშირი გაშუქება მნიშვნელოვანია, რთულია გადაცემას გავლენა ჰქონდეს მასობრივ საზოგადოებაზე, როცა მას ეთერში მაყურებელი თვეების განმავლობაში მხოლოდ ექვსჯერ ხედავს.

აღსანიშნავია ისიც, რომ „გამომძიებელი რეპორტიორის“ სოციალური ქსელი არააქტიურია. საკვლევ პერიოდში გასული სამივე გამოძიების შესახებ FACEBOOK გვერდზე სულ რამდენიმე პოსტი დაიდო, მათგან თითო პოსტი გამოძიებების ანონსს ეთმობოდა, დანარჩენი უშუალოდ გადაცემის ლინკები და აღწერა იყო. გამოძიებების ანონსებს 76, 138 და 206 ნახვა აქვს, რაც ნამდვილად მცირე ციფრია იმ ფონზე, რომ გამოძიებისთვის სიმართლის მოძიება ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მისი მასობრივი აუდიტორიისთვის შეტყობინება.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ „გამომძიებელი რეპორტიორის“ ინტერესის სფეროს ნაკლებად წარმოადგენს კორუფციის გამოძიება, არ იძიებენ კონკრეტული პოლიტიკოსებისა თუ თანამდებობის პირების მიერ ძალების უკანონოდ გამოყენებას. მართალია, ფილმები ხარისხიანი და ეთიკურია, თუმცა იმდენად დროში გაწელილი და იშვიათი, რომ მათი გავლენა დემოკრატიზაციის პროცესზე, ფაქტობრივად, მინიმალურია.

შედარებითი ანალიზი

საკვლევად კერძო მედიაორგანიზაციისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტური გამოძიებების ალებამ, შედარებისა და მათ შორის არსებული განსხვავებების დანახვის შესაძლებლობა მოგვცა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ქართულ ჟურნალისტურ გამოძიებებს მწვავე შედეგები არ მოჰყვება, „სტუდია მონიტორს“ მაინც ბევრად უფრო მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს უკანონობის გამოვლენაში, ვიდრე „გამომძიებელ რეპორტიორს“. ცხადია, ამის თქმის მთავარ საფუძველს გამოძიებების რაოდენობა არ გვაძლევს, ვინაიდან სხვადასხვა საკითხის გამოძიებას სხვადასხვა დრო სჭირდება და მხოლოდ იმაზე დაყრდნობით, რომ „გამომძიებელმა რეპორტიორმა“ 6 და „სტუდია მონიტორმა“ ბევრად მეტი გამოძიება მოამზადა, ვერ გამოვიტანთ დასკვნებს. თუმცა, ამის თქმის მთავარი საფუძველი გამოძიებების თემატიკაა. „სტუდია მონიტორი“ „გამომძიებელ რეპორტიორთან“ შედარებით ბევრად უფრო მწვავე საკითხებით ინტერესდება, მის ფოკუსში ხშირად ხვდება კორუფცია და შესაბამისად, ის მაკონტროლებლის, „მოდარაჯე ძაღლის“ ფუნქციას მეტად ასრულებს.

თუ საკვლევი ობიექტების FACEBOOK გვერდებს შევადარებთ, მათ შორის მკვეთრ განსხვავებას პირველივე წამიდანვე დავინახავთ. „სტუდია მონიტორს“ 36 000, ხოლო „გამომძიებელ რეპორტიორს“ 4300 გამომწერი ჰყავს. სოციალური ქსელის აქტივობა მნიშვნელოვანია, რათა გამოძიებული სიმართლე რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა გაიგოს, ამ მხრივ „გამომძიებელი რეპორტიორი“ აშკარად პასიურობს. შესაბამისად, მეტი ნახვა, გაზიარება და კომენტარებია „სტუდია მონიტორის“ პოსტებზე, რითაც საზოგადოების ჩართულობა და ინფორმირებულობა იზრდება.

მედიის, როგორც „მეოთხე ხელისუფლების“ როლი ხელისუფლების ქმედებების კონტროლი და გამჭვირვალობის ხელშეწყობაა, „გამომძიებელი რეპორტიორი“ მიუხედავად იმისა, რომ მომზადებულ ფილმებში ხელისუფლებისადმი კრიტიკულ მიდგომას აჩვენებს, ბოლომდე მაინც ვერ ასრულებს მაკონტროლებლის ფუნქციას, ეს კი, როგორც უკვე ითქვა, იმიტომ განპირობებულია, რომ კორუფციასთან ბრძოლის კუთხით არააქტიურია. მასთან შედარებით „სტუდია მონიტორი“ გაცილებით აქტიურობით გამოირჩევა, რასაც მისი თემატიკა, გაშუქების სპეციფიკა და სოციალურ ქსელში აქტივობა ადასტურებს.

ინტერვიუების შედეგები

კვლევის ერთ-ერთი მეთოდით, ნახევრადსტრუქტურირებული სიდრმისეული ინტერვიუებით, გავიგეთ ექსპერტთა მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ რამდენად ეფექტურად მიიჩნევენ ქართული ჟურნალისტური გამოძიებების როლს კორუფციასთან ბრძოლის საკითხში. რესპონდენტები თანხმდებიან იმაზე, რომ საგამომძიებო ჟურნალისტიკას დიდი როლი აქვს კორუფციასთან ბრძოლაში, ამას ადასტურებს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში ჩატარებული არაერთი ცნობილი გამოძიება. მათი თქმით, ქართული მედია ამ როლს გარკვეულწილად ასრულებს, ჟურნალისტები ამხელენ დამნაშავეებს და გამოძიებებსაც აქვს გარკვეული შედეგი, თუმცა არა იმდენად

მნიშვნელოვანი, როგორცაა მაგალითად გადადგომა, გათავისუფლება და ა.შ. ანუ მხილების შემდეგ, დამნაშავეები კვლავ დაუსჯელები რჩებიან. აღნიშნულს ცხადია დიდ პრობლემად მიიჩნევენ, რადგან ჟურნალისტური გამოძიების უმთავრესი დანიშნულება სწორედ შედეგზე გასვლა და დამნაშავის სათანადო დასჯაა. ექსპერტები მიიჩნევენ იმასაც, რომ ქართულ ჟურნალისტურ გამოძიებებში მკვეთრად შეიმჩნევა პოლიტიკური აფილაცია და ნაკლებად მწვავე თემები.

ჟურნალისტიკის დოქტორი, თსუ-ის ჟურნალისტიკის მიმართულების ხელმძღვანელი, მანანა შამილიშვილი, მიიჩნევს, რომ არაერთი ხარისხიანი გამოძიება მზდდება, თუმცა გამოყოფს გარკვეულ ხარვეზებსაც. „ვერ ვიტყვი, რომ არ ამზადებენ ხარისხიან და საინტერესო გამოძიებებს, თუმცა მწვავე თემების ნაკლებობა, გასულ წლებთან შედარებით, მაინც შეინიშნება“- ამბობს ექსპერტი. მისივე თქმით მთავარი გამოწვევა პოლიტიკური მიკერძოებაა, რის გამოც ხშირად გამოძიება დაკვეთილ მასალას უფრო გავს, ვიდრე სიმართლის დადგენის მცდელობას. აღნიშნავს, რომ ქართულ ჟურნალისტურ გამოძიებებში, მკვეთრად შეიმჩნევა პოლიტიკური აფილაცია და ნაკლებად მწვავე თემები. მისი თქმით, ჟურნალისტები უნდა ცდილობდნენ დაბალანსებული და მიუკერძოებელი მასალის შექმნას, რაც შეამცირებს კორუფციას და გააჯანსაღებს ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობასაც. მიუკერძოებლობა მართლაც უმთავრესია ჟურნალისტური ნაწარმის შექმნისას, განსაკუთრებით კი საგამომიებო მასალის, რადგან ჭეშმარიტი სიმართლე ობიექტური რეალობის დანახვით დგინდება და არა მიკერძოებით.

მიკერძოებას მნიშვნელოვან პრობლემად მიიჩნევს ჟურნალისტიკის დოქტორი, საგამომიებო ჟურნალისტიკის ლექტორი, მაგდა მემანაშვილიც, რომლის თქმითაც აღნიშნული პრობლემის გამო, ხშირად სამართლიანი გამომძიებელი ჟურნალისტების მიმართაც იკარგება ნდობა. „საგამომიებო ჟურნალისტიკა ხშირად ასოცირდება პოლიტიკურ ფულთან, ამიტომ მოსახლეობამ, შესაძლოა, ამ პოლიტიკური მიკერძოების გამო არ დაიჯეროს ობიექტურად დადასტურებული გამოძიებაც“ - ამბობს ის. გარდა ამისა, მნიშვნელოვან პრობლემად მიიჩნევს პროფესიონალი კადრების ნაკლებობასაც. აღნიშნული შეიძლება აიხსნას იმით, რომ ჟურნალისტური გამოძიებების რეპორტიურობა საკმაოდ რთული და შრომატევადი საქმეა, პროფესიონალი კადრი კი უნდა იყოს საკუთარი საქმის მცოდნე და ამასთანავე მიუკერძოებელიც, რათა დათრგუნოს სუბიექტური მოსაზრებები და ობიექტური რეალობა ეძიოს.

შემდეგი ექსპერტი, თამარ ბელქანია, წინა ორის მსგავსად მიიჩნევს, რომ კორუფციასთან ბრძოლაში ქართული ჟურნალისტური გამოძიებები ბევრად უფრო ეფექტური გახდება, თუ ჟურნალისტები დაივიწყებენ სუბიექტურობასა და მიკერძოებას. მისივე თქმით, მნიშვნელოვანი პრობლემაა ისიც, რომ „უწყებები ხშირად არ პასუხობენ გამომძიებელ ჟურნალისტებს, გარდა ამისა, საქართველოში ძალიან დაუცველია წყარო, ამ სირთულეებიდან გამომდინარე, რთულია იყო თავისუფალი“. უწყებების მხრიდან პასუხის გაუცემლობა მართლაც მწვავე პრობლემაა, ზოგჯერ გამომძიებელი ჟურნალისტები რამდენიმე კვირის განმავლობაშიც კი ელიან დაპირებულ პასუხებს. ეს ყოველივე არაკანონიერია, ვინაიდან აუცილებელია, დაინტერესებულ პირს, საჯარო ინფორმაცია, გამოთხოვიდან გონივრულ ვადაში მიეწოდოს. არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაა ექსპერტის მიერ გამოყოფილი მამხილებელთა დაცვის საკითხი. არსებობს საქართველოს კანონი

„მამხილებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, თუმცა მიუხედავად ამისა, მამხილებელთა უმეტესობა თავს დაუცველად გრძნობს და ცდილობს სიმართლის გამჟღავნებით საკუთარ თავს პრობლემები არ შეუქმნას.

საბოლოოდ, მათ მოსაზრებებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული ჟურნალისტური გამოძიება დგას შემდეგი გამოწვევების პირისპირ: პოლიტიკური მიკერძოება, ნაკლებად სიღრმისეული გადაცემები, კადრების ნაკლებობა, წყაროებთან წვდომა. მათი აზრით სწორედ ამ მიზეზებითაა განპირობებული ის, რომ გამოძიებებს მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მოჰყვება. მიიჩნევენ, რომ აღნიშნული გამოწვევების გამკლავების შემთხვევაში გამოძიებები მეტად შედეგიანი იქნება და დემოკრატიასაც გაცილებით მეტად გააძლიერებს.

დასკვნა და ძირითადი მიგნებები

საბოლოოდ, რომ შევაჯამოთ, საგამომიებო ჟურნალისტიკას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კორუფციის გამოვლენის კუთხით, ამით ის, ფაქტობრივად, დემოკრატიის სადარაჯოზე დგას. ჩვენი კვლევის შედეგად კი გამოვლინდა, რომ „სტუდია მონიტორი“ მეტად ეფექტურად ებრძვის კორუფციას, ვიდრე „გამომძიებელი რეპორტიორი“, თუმცა, ზოგადად, ქართული ჟურნალისტური გამოძიება არაერთი გამოწვევის პირისპირ დგას. უფრო კონკრეტულად, ჩვენი მთავარი მიგნებები შემდეგია:

- „სტუდია მონიტორი“ ფარდა ახადა არაერთ კორუფციულ დანაშაულს, ის აქტიურად აწოდებს საზოგადოებას გამოძიებებს და ამით ზრდის მათ ჩართულობას. არის ობიექტური, მიუკერძოებელი და ეთიკური. რაც შეეხება შედეგს, გამოძიებები ზოგადად უშედეგო არ არის, თუმცა მწვავე შედეგები მაინც არ მოყვება.
- „გამომძიებელი რეპორტიორი“ საკვლევ პერიოდში ნაკლებად აქტიური იყო, გაშუქებული ექვსი მასალის ფონზე ჩანს, რომ გადაცემას კორუფციის გამოვლენაში არ აქვს დიდი როლი. შემოთავაზებული ექვსი მასალა იყო ობიექტური, მიუკერძოებელი და ეთიკური, თუმცა არ ეხებოდა კორუფციას.
- „სტუდია მონიტორი“ კორუფციის აღმოფხვრის კუთხით უფრო ეფექტურად მუშაობს, ვიდრე „გამომძიებელი რეპორტიორი“. შესაბამისად, მას მეტად შეაქვს წვლილი დემოკრატიული პროცესების წინსვლაში.
- საკვლევ გადაცემებში არ გვხვდება უხეში ეთიკური დარღვევები, ჟურნალისტები ეყრდნობოდნენ სანდო წყაროებს, ძირითადად საჯარო დოკუმენტებსა და ექსპერტთა მოსაზრებებს.
- საგამომიებო ჟურნალისტიკა დგას არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელთა გამკლავებაც მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ კორუფციასთან ბრძოლა უფრო ეფექტური იყოს. ეს გამოწვევებია: პოლიტიკური მიკერძოება, ნაკლებად სიღრმისეული გადაცემები, კადრების ნაკლებობა, წყაროებთან წვდომა, მამხილებელთა დაუცველობა.

თუ გამომძიებელი ჟურნალისტები ორიენტირდებიან ობიექტური სიმართლის გამოაშკარავებაზე, ყველა გამოწვევის დაძლევის მოახერხებენ და შექმნიან ბევრად უფრო ხარისხიან მედიანაწარმს, რომელიც გაცილებით ეფექტური იქნება კორუფციის პრევენციის, აღმოფხვრისა და ქვეყნის დემოკრატიზაციის საკითხში.

ბიბლიოგრაფია

- ქარტია. (2001). *ჟურნალისტთა ქცევის კოდექსი*. მოპოვებული საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია.-დან
- Bradshaw, P. (2008). *Investigative Journalism and blogs*. Investigative Journalism 96-114.
- Ettema, S, J, & Glasser, L, T. *On The epistemology of Investigative journalism*. Eric.ed.gov.
- Glasser, L, T, & Ettema S, J. (1989). *Investigative journalism and the moral order*. Critical Studies in Media Communication 6 (1), 1-20.
- Houston, B. (2010). *The future of investigative journalism*. Daedalus 139 (2), 45-56.
- Hugo de Burgh, P. B. (2008). *Investigative Journalism*. London and New-York: Routledge, Taylor and Francis Group.
- Kaplan, D. E. (2013). *Global investigative Journalism: Strategies for support*. Center for international Media Assistance.
- Moene, K, & Soreide T. (2019). *Combating corruption: Investigative journalism on the frontlines*. Cappelen Damm Akademisk.
- Phillips, G, & Tapsall S. (2002). *Investigative journalism and etics: a slippery slide rule*. Journalism: Investigation & Research, 298-311.
- Suntai, D, & Shem W. (2018). *Tacking institutional corruption through investigative journalism*. Global media Journal 16 (30) 1-8.
- Waisbord, S. (2001). *The challenges of investigative journalism*. U, Miami L. Rev. 56, 377.
- Weinberg, S. (1996). *The Reporter's Handbook: An Investigator's Guide to Documents and Techniques* . New York: St Martin's Press.
- თავისუფლება NI(25). (2004). თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი.
- კორუფციის აღქმის ინდექსი 2022: კორუფციასთან ბრძოლის მხრივ საქართველო ბოლო 10 წელი სტაგნაციას განიცდის. (31.01.2023). საერთაშორისო გამჭვირვალობა.
- მემანიშვილი, მ. (2020). *საგამოძიებო ჟურნალისტიკის განვითარების ტენდენციები საქართველოში*. თბილისი.
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. (2009 წლის 12 03). *მაუწყებელთა ქცევის კოდექსი*. მოპოვებული საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.-დან
- საქართველოს პარლამენტი. (2004 წლის 23 12). *საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ*. მოპოვებული საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.-დან

ჰიუსტონი, ბ. (2011). *ჟურნალისტ-გამომძიებლის სახელმძღვანელო, დოკუმენტების, მონაცემთა ბაზებისა დამეთოდების გზამკვლევი*. ბედფორდი: სენტ მარტინსი, ბოსტონი: ნიუ იორკი: ითარგმნა ევროვიზიის თანამშრომლობის პროექტის „საქართველოში მედიის, როგორც მაკონტროლებლის როლის გაძლიერება“ ფარგლებში.



ეთნიკური უმცირესობების სახელმწიფო პოლიტიკის ევროკავშირის ასოცირების
ხელშეკრულებასთან თავსებადობა

თორნიკე ყრუაშვილი

ვანო გომურაშვილი

პოლიტიკის ანალიზისა და საჯარო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: tornike.kruashvili883@sps.tsu.edu.ge

E-Mail: gomurashvilivano2001@gmail.com

აბსტრაქტი

აღნიშნული კვლევა ეხმიანება ეთნიკური უმცირესობების სახელმწიფო პოლიტიკის ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებასთან თავსებადობას. კვლევის მიზანია, შევისწავლოთ, თუ რა თავისებურებებითაა ასახული ეთნიკური აზერბაიჯანელების სამოქალაქო და პოლიტიკური ინტეგრაციის გზაზე არსებული გამოწვევები სახელმწიფო პოლიტიკის 2021-22 წლების სამოქმედო გეგმაში და რამდენად ითვალისწინებს სახელმწიფო სტრატეგია ევროკავშირის სტანდარტებსა და ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. კვლევის მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა ორი კვლევითი კითხვა: როგორ ვლინდება ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო და პოლიტიკური ინტეგრაციის გამოწვევები და სამოქმედო მექანიზმები სახელმწიფო პოლიტიკის 2021-22 წლების სამოქმედო გეგმაში და რამდენად ჰარმონიზებულია სახელმწიფო პოლიტიკის 2021-22 წლების სამოქმედო გეგმაში ეთნიკური უმცირესობების დაცვისა და ინტეგრაციის პრიორიტეტები ევროკავშირის სტანდარტებთან.

კვლევა ეყრდნობა თვისებრივი კვლევის მეთოდებს, კერძოდ შედარებითი ანალიზის მეთოდსა და სიღრმისეული ინტერვიუს ანალიზს. საკითხი აქტუალურია და სიახლეა, ვინაიდან და რადგანაც ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია თანამედროვე დემოკრატიული მმართველობის გადამწყვეტი ასპექტია. ვინდიშერის 2015 წლის კრიტერიუმების მიხედვით გასათვალისწინებელია სამი ძირითადი ფაქტორი: თანაბარი მოპყრობის უფლება, მრავალფეროვნების ხელშეწყობა და კულტურულ, სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ეფექტური ჩართვის შესაძლებლობა. ეს კვლევა აანალიზებს საქართველოს 2021-22 წლების სამოქმედო გეგმის შესაბამისობას ამ კრიტერიუმებთან, ევროკავშირის სტანდარტების კონტექსტში, განსაკუთრებით ასოცირების შეთანხმების ფარგლებში.

საკვანძო სიტყვები : ეთნიკური უმცირესობები, აზერბაიჯანელი მოქალაქეები, ევროკავშირი, ასოცირების ხელშეკრულება

შესავალი

ჩვენს თანამედროვეობაში არაერთ ევროპულ სახელმწიფოში მწვავედ დგას ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციის საკითხები (windischer, 2015). მათი დაცვა რამდენიმე ასპექტითაა მნიშვნელოვანი: იდენტობის შენარჩუნება, თანასწორუფლებიანობა და რაც მთავარია, სოციალურ - პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა(OHCHR, 2010). არაერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ დემოკრატიული პროცესები ხელს უწყობს ეთნიკური ჯგუფების უფლებების დაცვას (windischer,2015). თუმცა აღსანიშნავია, რომ ავტორთა ნაწილი განსხვავებულ მსჯელობას ავითარებს, რომ დემოკრატიზაცია ეთნიკური ჯგუფებისკენ მიმართულ პოლიტიკას განსხვავებულად აყალიბებს, რაც მათ “თამაშვარე” მდგომარეობაში ტოვებს (Bernard & Haklai, 2014). არსებული გამოწვევების საპასუხოდ ევროპული მთავრობები ცდილობენ შეიმუშავონ კონკრეტული სახელმწიფო პოლიტიკა, რათა ხელი შეუწყონ უმცირესობათა სრულფასოვან ინტეგრაციას(Duyvene & koompans, 2005). ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა და ინტეგრაცია აქტუალური საკითხია საქართველოშიც, სადაც ეთნიკური უმცირესობათა წილი მოსახლეობის დაახლოებით 14%-ს შეადგენს, საიდანაც დომინანტია ორი ჯგუფი: ეთნიკური აზერბაიჯანელები და სომხები (საქსტატი, 2020). ჩვენს ქვეყანაში ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაცია საკმაოდ ხანგრძლივი და კომპლექსური პროცესია, რაც გაწერილია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო გეგმაში. გარდა ამისა, საქართველო ეთნიკური უმცირესობების დაცვის არაერთი კონვენციის ხელმომწერია, მათ შორის, ქვეყანას კონკრეტული ვალდებულებები ნაკისრი აქვს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით, რაც ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობას გულისხმობს(სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 2021). მიუხედავად ამისა, არაერთი კვლევა მოწმობს, რომ ეთნიკური აზერბაიჯანელების შემთხვევაში თავს იჩენს ისეთი პრობლემები, როგორცაა ენობრივი ბარიერი, დაბალი პოლიტიკური და სამოქალაქო ჩართულობა თუ სხვა (კანდელაკი, 2020). შესაბამისად, მეტად აქტუალური და მნიშვნელოვანია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის 2021-22 წლების სამოქმედო გეგმის შეფასება და განსაზღვრა იმისა, თუ რამდენად თავსებადია ევროკავშირის სტანდარტებთან და როგორ პასუხობს იგი არსებულ გამოწვევებს. კვლევის სიახლეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პოლიტიკის 2021-22 წლების სამოქმედო გეგმა შეფასდება და გაანალიზდება კონკრეტული ინდიკატორების მეშვეობით, რაც ევროკავშირის სტანდარტებთან საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის თავსებადობის ანალიზს ნათელსა და შესაძლებელს გახდის. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასთან ეთნიკური უმცირესობების სახელმწიფო პოლიტიკის თავსებადობის საკითხი შედარებით ახალია ევროინტეგრაციის ბოლო დროს განვითარებული მოვლენებისა და სტანდარტების განვითარებასთან დაკავშირებით. აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის ბევრმა ქვეყანამ მხოლოდ ახლახან გააძლიერა მცდელობები ევროკავშირთან მისადგომად. ეს თანხვედრა გულისხმობს ევროკავშირის მკაცრი სტანდარტების დაცვას ადამიანის უფლებებისა და ეთნიკური უმცირესობების მიმართ მოპყრობის შესახებ. ვინაიდან ევროკავშირი მუდმივად ანახლებს თავის მოლოდინებს, ქვეყნები, რომლებიც ეძებენ უფრო მჭიდრო კავშირებს, უნდა მოარგონ თავიანთი პოლიტიკა, რათა უზრუნველყონ ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა და ხელშეწყობა. დღესდღეობით ეს განვითარებადი ლანდშაფტი ამ საკითხს განსაკუთრებულად აქტუალურ და ახალს ხდის.

ლიტერატურის მიმოხილვა

21-ე საუკუნეში დემოკრატიის განმტკიცება და განვითარება საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. დემოკრატიის ხარისხის გაუმჯობესება შეუძლებელია ისეთი ასპექტების გათვალისწინების გარეშე, როგორცაა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, ტოლერანტობა, მრავალფეროვნება, აზერბაიჯანელი უმცირესობების უფლებების დაცვა და მათი ინტეგრაციის ხელშეწყობა (Rovny, 2021).

დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში მნიშვნელოვანია, რომ ეთნიკური უმცირესობების უფლებები მაქსიმალურად იყოს დაცული. მითუმეტეს, როცა საქართველოს გეზი ევროპული სტრუქტურებისკენ აქვს აღებული და სულ ცოტა ხნის წინ მიიღო კანდიდატის სტატუსი, ამის ფონზე სულ უფრო და უფრო საჭირო ხდება, რომ ეთნიკურ აზერბაიჯანელებს ჰქონდეთ თვითგამოხატვის, თვითრეალიზაციისა და სხვადასხვა სამოქალაქო თუ პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის შესაძლებლობა, ისევე, როგორც ეს საქართველოს სხვა მოქალაქეებს შეუძლიათ. ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკა აუცილებელია ისტორიული უსამართლობის გამოსასწორებლად და სისტემური დისკრიმინაციის მოსაგვარებლად (Smith, 2010). ისტორიულად მარგინალიზებული ჯგუფები ხშირად აწყდებიან ბარიერებს განათლების, დასაქმებისა და პოლიტიკური წარმომადგენლობის თანაბარი შესაძლებლობების მიმართ. პოლიტიკა, რომელიც პრიორიტეტად ანიჭებს პოზიტიურ ქმედებებს და მიზანმიმართულ ინტერვენციებს, მიზნად ისახავს გაათანაბროს სათანაშო მოედანი და უზრუნველყოს რესურსებსა და შესაძლებლობებზე თანაბარი წვდომა (Jones, 2015).

უფრო მეტიც, ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკა ხელს უწყობს ინკლუზიურ მმართველობას სხვადასხვა წარმომადგენლობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფის გზით (Miller, 2012). წარმომადგენლობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პოლიტიკურ ინსტიტუტებში, არამედ საჯარო ადმინისტრაციაშიც, სადაც პოლიტიკა შეიძლება შემუშავდეს ყველა მოქალაქის, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების საჭიროებებისა და მისწრაფებების ასახვაზე (Varshney, 2002).

როგორც წესი, ინკლუზიურობა ამცირებს ეთნიკური დაძაბულობისა და კონფლიქტების რისკს, რაც ხელს უწყობს უფრო სტაბილურ და ჰარმონიულ საზოგადოებას.

ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკა აუცილებელია მულტიკულტურულ საზოგადოებებში სოციალური სამართლიანობის, ინკლუზიური მმართველობისა და სოციალური ერთიანობის მისაღწევად. ისტორიული უსამართლობის მოგვარებით, წარმომადგენლობის ხელშეწყობით და ინკლუზიურობის ხელშეწყობით, ეს პოლიტიკა ხელს უწყობს უფრო სამართლიან და ჰარმონიულ საზოგადოებას, სადაც თითოეულ ინდივიდს შეუძლია აყვავდეს (Smith, 2010).

სწორედ მულტიკულტურალიზმის თეორია გულისხმობს ტოლერანტობის არსებობასა და მრავალფეროვნების ხელშეწყობას. თეორია მიზნად ისახავს ისეთი საზოგადოების შექმნას, რომელიც იქნება ტოლერანტული. მულტიკულტურალიზმი შესაძლოა წარმოჩინდეს, როგორც მთავარი ორიენტირი ეთნიკური უმცირესობებისთვის სამართლიანი შესაძლებლობების უზრუნველყოფის გზაზე. კიმილიჩკა ასევე საუბრობს სახელმწიფოს, როგორც მთავარი აქტორის, მნიშვნელოვან როლზე ეთნიკური უმცირესობებისთვის შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებისა და

სამართლიანი გარემოს შექმნის პროცესში. მისი თქმით, მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის შესაბამისი პოლიტიკის არსებობა, რაც უპირველეს ყოვლისა, განათლების სექტორში უნდა აისახოს (Kymlichka, 2007).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პოსტსაბჭოთა პოლიტიკურ სისტემებში, როგორცაა მაგალითად საქართველო, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმგვარი პოლიტიკური კურსის გატარება, რაც ხელს შეუწყობს ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვასა და დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებას. წარსულის გამოცდილებით შესაძლოა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმირებისას საქართველოში შეინიშნებოდა ეთნონაციონალიზმის გაღვივების პროცესი, რამაც ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია წახალისა. რაც შეეხება დღეს არსებულ ვითარებას, ამ მხრივ პოლიტიკურ-კულტურული ლანდშაფტი მნიშვნელოვნად შეცვლილია, თუმცა ეთნიკური აზერბაიჯანელების წინაშე არაერთი ტიპის გამოწვევა დღესაც მრავლადაა (სორდია, 2014).

ეთნიკურ უმცირესობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ზრუნვა ჯერ კიდევ 2004 წლიდან იწყება, რაც დაკავშირებული იყო მათი სამოქალაქო ინტეგრაციის დაჩქარებასთან. 2005 წელს საქართველოს პარლამენტმა ევროპის საბჭოს ეთნიკური უმცირესობების დაცვის შესახებ ჩარჩო - კონვენციის რატიფიკაცია მოახდინა, რაც წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტს ამ ჯგუფების უფლებების დაცვისთვის. სწორედ აღნიშნული ჩარჩო-კონვენციის თანახმად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეთ სამოქალაქო და პოლიტიკურ პროცესებში სრულფასოვანი მონაწილეობის, განათლების მიღებისა და სხვა შესაძლებლობები (ფირანიშვილი, 2022).

დღესდღეობით საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების უფლებები კანონის დონეზე გათანაბრებულია მკვიდრი მაცხოვრებლების უფლებებთან, რაც გამყარებულია საქართველოს კონსტიტუციით. თითოეული ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და აქვს თავისუფალი ნების გამოხატვის უფლება. ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მიიღოს ნებისმიერი მატერიალური თუ არამატერიალური სიკეთე, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო პროგრამასთან და სახელმწიფო სერვისებთან (საქართველოს მთავრობა, 2015).

მნიშვნელოვანია, გავიხსენოთ 2014 წელს გაფორმებული ასოცირების შესახებ ხელშეკრულება საქართველოსა და ევროკავშირის შორის, რომლის მთავარ მიზანს დემოკრატიული რეფორმების გატარება წარმოადგენდა. სწორედ აქ იკვეთებოდა, ეთნიკურ უმცირესობათა უფლებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაცვის მოთხოვნა, რაც შემდგომში ეროვნულ სტრატეგიაშიც იქნა გათვალისწინებული (NIMD, 2007).

საქართველოში ეთნიკური აზერბაიჯანელის სამოქალაქო და პოლიტიკური ინტეგრაციის სამოქმედო გეგმასა და სტრატეგიაზე პასუხისმგებელია შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, რომლის ხელმძღვანელობითაც შემუშავებულია „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია და 2015–2020წწ. სამოქმედო გეგმა“. ამ სტრატეგიაში ჩამოყალიბებულია ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის უზრუნველყოფის მექანიზმები და

განსაზღვრულია სამთავრობო უწყებათა ამოცანები აღნიშნულის მისაღწევად (საქართველოს მთავრობა, 2015).

სამოქალაქო და პოლიტიკური ინტეგრაცია არის ის პროცესი, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია, რომ ეთნიკურმა აზერბაიჯანელებმა საქართველოში თავი სრულფასოვან მოქალაქეებად იგრძნონ და მიიღონ ყველა ის შესაძლებლობა, სახელმწიფო პროგრამა თუ სერვისი, რითაც ადგილობრივი ქართველები სარგებლობენ. აქვე საინტერესოა განიმარტოს, თუ რას გულისხმობს სამოქალაქო და პოლიტიკური ინტეგრაცია. სამოქალაქო და პოლიტიკური ინტეგრაცია გულისხმობს ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების სამოქალაქო, სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისათვის პირობების შექმნას. საუბარია ისეთ პოლიტიკურ პროცესებზე, როგორცაა არჩევნებსა და განხილვებში მონაწილეობა, წარმომადგენლობითობის შეუზღუდაობა და სხვა(გორგოძე, 2008).

მართალია, ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით საქართველო არაერთი ევროპული კონვენციისა და აქტის წევრია, ასევე, როგორც აღვნიშნეთ, შემუშავებულია ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკა, თუმცა ეთნიკური აზერბაიჯანელების სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის დონე დაბალია, რაც დღემდე ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია, შევისწავლოთ, თუ რა თავისებურებებითაა ასახული ეთნიკური აზერბაიჯანელების სამოქალაქო და პოლიტიკური ინტეგრაციის გზაზე არსებული გამოწვევები სახელმწიფო პოლიტიკის 2021-22 წლების სამოქმედო გეგმაში და რამდენად ითვალისწინებს სახელმწიფო სტრატეგია ევროკავშირის სტანდარტებსა და ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. კვლევის მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა კვლევითი კითხვები:

- როგორ ვლინდება ეთნიკური აზერბაიჯანელი უმცირესობების სამოქალაქო და პოლიტიკური ინტეგრაციის გამოწვევები და სამოქმედო მექანიზმები სახელმწიფო პოლიტიკის 2021-22 წლების სამოქმედო გეგმაში?
- რა ძირითად ფაქტორებზეა ყურადღება გამახვილებული სახელმწიფო პოლიტიკის 2021-22 წლების სამოქმედო გეგმაში ეთნიკური უმცირესობების დაცვისა და ინტეგრაციის პრიორიტეტების ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის პროცესში ?

საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ კვლევის შედარებითი ანალიზი, რომლის ფარგლებშიც მოხდება დოკუმენტების განხილვა. კვლევის პროცესში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის კიდევ ერთ ტექნიკა, სიღრმისეული ინტერვიუ, რომელიც ჩატარდა ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით. კვლევის ფარგლებში ჩატარდა 5 სიღრმისეული ინტერვიუ, როგორც დარგის სპეციალისტებთან, ისე პირებთან, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების პროცესში. სიღრმისეული ინტერვიუების საშუალო ხანგრძლივობა შეადგენს 35-40 წუთს. შესასწავლი დოკუმენტებისთვის გამოყენებულია მიზნობრივი ჰომოგენური შერჩევა. სიღრმისეული ინტერვიუებისთვის გამოყენებულია მიზნობრივი ჰეტეროგენული შერჩევა, რაც გულისხმობს

იმას, რომ რესპონდენტები შერჩეულნი იქნებიან სხვადასხვა გამოცდილებით, რათა აღმოვაჩინოთ საკვანძო საკითხები და გაზიარებული მახასიათებლები. 2 ინტერვიუ ჩატარდა დარგის სპეციალისტთან, ხოლო 3 ინტერვიუ - იმ პირებთან, რომელთაც უმცირესობების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობის გამოცდილება გააჩნიათ. რაც შეეხება სახელმწიფო პოლიტიკის 2021-22 წლების სამოქმედო გეგმისა და ევროკავშირის, კონკრეტულად ასოცირების ხელშეკრულების სტანდარტებთან თავსებადობის დასადგენად გამოყენებულია ვინდიშერის მიერ განსაზღვრული სამი ინდიკატორი: 1. თანაბარი მოპყრობის უფლება; 2. მრავალფეროვნების ხელშეწყობა; 3. კულტურულ, სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ეფექტური ჩართულობის შესაძლებლობა (Windischer, 2015).

კვლევის ლიმიტი: კვლევა არ ანალიზებს ეთნიკური უმცირესობების სახელმწიფო პოლიტიკით განსაზღვრული პრიორიტეტებისა და ამოცანების განხორციელების პროცესს. ასევე არ აფასებს პოლიტიკის წარმატება/წარუმატებლობას

დისკუსია / დებატები

დღესდღეობით საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების უფლებები კანონის დონეზე გათანაბრებულია მკვიდრი მაცხოვრებლების უფლებებთან, რაც გამყარებულია საქართველოს კონსტიტუციით. თითოეული ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და აქვს თავისუფალი ნების გამოხატვის უფლება. ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია მიიღოს ნებისმიერი მატერიალური თუ არამატერიალური სიკეთე, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო პროგრამასთან და სახელმწიფო სერვისებთან (საქართველოს მთავრობა, 2015). ჩვენს თანამედროვეობაში არაერთ სახელმწიფოში მწვავედ დგას ეთნიკური აზერბაიჯანელების სამოქალაქო და პოლიტიკური ინტეგრაციის საკითხი. საყურადღებოა, რომ ეთნიკური აზერბაიჯანელების ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებული გამოწვევები უცხო არ არის საქართველოსთვისაც, სადაც ეთნიკური ჯგუფები ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 14%-ს წარმოადგენს (საქსტატი, 2020). აღსანიშნავია ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე დადებული ასოცირების ხელშეკრულება, სადაც ნათლადაა წარმოდგენილი, რომ სახელმწიფომ უნდა იზრუნოს ეთნიკური ჯგუფების უფლებების დაცვაზე. სწორედ ამ ყველაფრის გათვალისწინებით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას, სახელმწიფო დოკუმენტების შექმნას და სწორი, მიზანმიმართული სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებას, რათა ეთნიკური უმცირესობების ინკლუზიურობა ქვეყანაში დაცული იყოს. სწორედ ამიტომ კვლევის მიზანია შევისწავლოთ, თუ რა თავისებურებებითაა ასახული ეთნიკური აზერბაიჯანელების სამოქალაქო და პოლიტიკური ინტეგრაციის გზაზე არსებული გამოწვევები სახელმწიფო პოლიტიკის 2021-22 წლების სამოქმედო გეგმაში და რამდენად თავსებადია სახელმწიფო სტრატეგია ევროკავშირის სტანდარტებსა და ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან.

სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზმა აჩვენა, რომ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის სახელმწიფო დოკუმენტი და კონკრეტულად კვლევის ობიექტი, 2021-22 წლების სამოქმედო გეგმა ხასიათდება მნიშვნელოვანი გამოწვევებითა და ხარვეზებით. ექსპერტების მოსაზრებები და შეფასებები სახელმწიფო პოლიტიკისა და დოკუმენტების გარშემო მეტ-ნაკლებად არის ერთგვაროვანი, რაც შეეხება ეთნიკური აზერბაიჯანელების სახელმწიფო პოლიტიკის

ევროკავშირთან, ასოცირების ხელშეკრულებასთან თავსებადობის საკითხს, აქ ექსპერტების შეფასებები მეტ-ნაკლებად განსხვავებულია და წარმოდგენილია, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური შეფასებები. სიღრმისეული ინტერვიუების შედეგად შესაძლოა გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი. ექსპერტები თანხმდებიან, რომ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის სახელმწიფო დოკუმენტი ზოგადია და დაცლილია შინაარსობრივი მხარისგან, ასევე იქ წარმოდგენილი დონისძიებებისა და მექანიზმების ერთობლიობა არ ეფუძნება ვალიდურ კვლევებს. სწორედ აქ იჩენს თავს მთავარი პრობლემა, კვლევამ ცხადყო ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს და სამოქალაქო საზოგადოებას არ ეძლევათ შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთონ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების პროცესში, რაც ისევ და ისევ აზიანებს ეთნიკური აზერბაიჯანული ჯგუფების სამოქალაქო და პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესს.

ექსპერტები თანხმდებიან იმის შესახებაც, რომ 2021-22 წლების სამოქმედო გეგმა წინა წლებისგან განსხვავებით თითქმის არ შეიცავს მნიშვნელოვან სიახლეს და შესაბამისად, კვლავ ვერ პასუხობს სტრატეგიულ პრიორიტეტებს. “სამოქმედო გეგმაში ხშირად არ არის ასახული პრიორიტეტული საკითხები იმ დონეზე, რომ უპასუხოს თემის საჭიროებებს, ისე სტრატეგიის დოკუმენტს” (სიღრმისეულ ინტერვიუ, რესპონდენტი N1). გარდა აღნიშნულისა, სახელმწიფო დოკუმენტი და 2021-22 წლების სამოქმედო გეგმა პრობლემურია მასში ეთნიკური აზერბაიჯანელების გამოწვევების ასახვის კუთხითაც. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ არსებობს კრიტიკული გამოწვევები, რომლებიც საერთოდ არ არის იდენტიფიცირებული სტრატეგიულ დოკუმენტში. ამავე კუთხით საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის გამოწვევები ასახულია მხოლოდ სახელმწიფოს პრიზმიდან და იგნორირებულია თავად ეთნიკური ჯგუფებისა და სამოქალაქო საზოგადოების რეკომენდაციები - “არანაირი უმცირესობების სულისკვეთება, არანაირი რეალური პრობლემები, საჭიროებები, არანაირი ინტეგრაცია” (სიღრმისეული ინტერვიუ, რესპონდენტი N2).

რაც შეეხება სახელმწიფო დოკუმენტის ევროკავშირის სტანდარტებთან თავსებადობას, ამ მხრივ სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზის შედეგად აზრთა სხვადასხვაობა გამოვლინდა. აგრეთვე სხვა რესპონდენტი მიიჩნევს, რომ ჰარმონიზაციის პროცესი მეტ-ნაკლებად პოზიტიური დინამიკით ვითარდება. აქვე ექსპერტი უსვამს ხაზს, რომ ევროკავშირს არ აქვს რაიმე ერთიანი სტანდარტი, არამედ იგი ეფუძნება სხვადასხვა ჩარჩო-კონვენციასა და ხელშეკრულებას. რაც შეეხება ექსპერტს მიიჩნევს, რომ მისი შეფასებები საკმაოდ კონტრასტულია. როგორც ინტერვიუს ანალიზმა ცხადყო, ექსპერტი ჰარმონიზაციის პროცესს ნეგატიურად აცხადებს და აღნიშნავს, რომ სახელმწიფო პოლიტიკასა და კოპენჰაგენის სტანდარტებს, ასოცირების ხელშეკრულებას შორის შინაარსობრივი კუთხით დიდი აცდენაა, თუმცა სტრუქტურულად, ფორმალურად შეინიშნება თანხვედრა. კვლევამ ცხადყო ისიც, რომ სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების დონეზე ევროკავშირის სტანდარტები თითქმის არ არის გათვალისწინებული, რაც შეინიშნება სახელმწიფო დოკუმენტით გათვალისწინებულ ხუთივე სტრატეგიულ პრიორიტეტში.

ამდენად, სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზის შედეგად საკითხის გარშემო გამოიკვეთა, რომ:

1. ეთნიკური უმცირესობების სახელმწიფო პოლიტიკის 2021-22 წლების სამოქმედო გეგმა არის ზოგადი, დაცლილია შინაარსისგან და თითქმის არ არის თანხვედრაში სტრატეგიულ პრიორიტეტებთან. (მაგალითისთვის, გამოწვევებსა და შესაბამის ამოცანებს შორის არის აცდენა);
2. დოკუმენტი პრობლემურია ეთნიკური უმცირესობების გამოწვევების ასახვის კუთხით. იკვეთება გულგრილი და ზერელე დამოკიდებულება სახელმწიფოს მხრიდან. სამოქმედო გეგმა შემუშავებულია მხოლოდ სახელმწიფოს გადმოსახედიდან, მასში ძირითადად არ მონაწილეობენ ეთნიკური უმცირესობებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. მაგალითისთვის, სამოქმედო გეგმის მიხედვით, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში 2021-22 წლებში 40-მდე სკოლისა და 20-მდე ბაღის რეაბილიტაცია განხორციელდა, თუმცა სტატისტიკური მონაცემები მოწმობს, რომ სხვა რეგიონებთან შედარებით, საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობის კუთხით მდგომარეობა კვლავ სავალალოა.
3. პრობლემურია გამოწვევების იდენტიფიცირების გზა, შესაბამისად, ვერ ხდება მისი ზედმიწევნით ასახვა სამოქმედო გეგმაში. ექსპერტები თანხმდებიან, რომ არსებობს მთელი რიგი გამოწვევები, რასაც სამოქმედო გეგმა არ ეხება. (მაგ: გაირკვა, რომ სამოქმედო გეგმაში გაწერილია ღონისძიებები, რომელიც საერთოდ არ უკავშირდება არსებულ გამოწვევებსა და პრიორიტეტებს).
4. მნიშვნელოვანი საკითხია სახელმწიფო დოკუმენტის თავსებადობა ევროკავშირის სტანდარტებთან. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირს არ გააჩნია ერთიანი სტანდარტი, არსებობს გარკვეული კრიტერიუმები, რასაც საქართველო ვერ აკმაყოფილებს. კვლევამ ცხადყო, რომ სახელმწიფო დოკუმენტი ფორმალურად გამართულია, პრაქტიკაში კი მნიშვნელოვანი ხარვეზები შეინიშნება. (მაგალითისთვის, ჩავარდნაა ხუთივე პრიორიტეტულ მიმართულებაში, განსაკუთრებით სავალალო ვითარებაა ხარისხიანი განათლების მიწოდების კუთხითა და მთარგმნელობით სერვისებში).

საბოლოოდ, ინტერვიუების ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო პოლიტიკის 2021-22 წლების სამოქმედო გეგმაში ეთნიკური აზერბაიჯანელების სამოქალაქო და პოლიტიკური ინტეგრაციის გამოწვევები არასრულად და არათანმიმდევრულადაა ასახული, რასაც სახელმწიფოს მხრიდან ეთნიკური ჯგუფების ინტერესების უგულვებელყოფა განაპირობებს. დოკუმენტში წარმოდგენილი მექანიზმები და ღონისძიებების ერთობლიობა დღეს არსებული რეალობის რელევანტური არ არის. რაც შეეხება სახელმწიფო პოლიტიკის ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის პროცესს, შესაძლოა ითქვას, რომ სახელმწიფო დოკუმენტი ნაწილობრივ თავსებადია.

ეთნიკური უმცირესობების სახელმწიფო პოლიტიკის ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის პროცესის ანალიზი : ვინდიშერის კრიტერიუმების მიხედვით

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია თანამედროვე დემოკრატიული მმართველობის გადამწყვეტი ასპექტია. ვინდიშერის 2015 წლის კრიტერიუმების მიხედვით გასათვალისწინებელია სამი ძირითადი ფაქტორი: თანაბარი მოპყრობის უფლება,

მრავალფეროვნების ხელშეწყობა და კულტურულ, სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ეფექტური ჩართვის შესაძლებლობა(Windischer, 2015). ეს თავი აანალიზებს საქართველოს 2021-22 წლების სამოქმედო გეგმის შესაბამისობას ამ კრიტერიუმებთან, ევროკავშირის სტანდარტების კონტექსტში, განსაკუთრებით ასოცირების შეთანხმების ფარგლებში.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით, საქართველო ვალდებულია მოქალაქეთათვის უზრუნველყოს თანაბარი შესაძლებლობები და ანტიდისკრიმინაცია განურჩევლად სქესისა, რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობისა. გარდა ამისა, ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას გააძლიეროს დემოკრატიული პრინციპები და კანონის უზენაესობა ეთნიკური უმცირესობების ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად და სამოქალაქო თუ პოლიტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის(საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2014).

ევროკავშირის სტანდარტებთან ეთნიკური უმცირესობების სახელმწიფო პოლიტიკის თანხვედრაზე საუბრისას, საყურადღებოა, რომ შევხვით კოპენჰაგენის ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავს: პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ინსტიტუციურ კრიტერიუმებს. რაც შეეხება ეთნიკურ უმცირესობებს, პოლიტიკური კრიტერიუმები ხაზს უსვამს უმცირესობების პატივისცემისა და დაცვის მნიშვნელობას. ეს მოიცავს უმცირესობათა ჯგუფების უფლებების დაცვას და ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში სრული მონაწილეობის უზრუნველყოფას(Oxford Reference, 2018).

თანაბარი მოპყრობის უფლება

თანაბარი მოპყრობის უფლება ევროკავშირის ფუნდამენტური პრინციპია, რომელიც მიზნად ისახავს უზრუნველყოს, რომ ყველა ინდივიდს ჰქონდეს თანაბარი წვდომა შესაძლებლობებსა და რესურსებზე დისკრიმინაციის გარეშე. საქართველოს 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა მოიცავს კონკრეტულ ზომებს, რომლებიც მიზნად ისახავს ანტიდისკრიმინაციული კანონების გაძლიერებას და ეთნიკური უმცირესობათა უფლებების დაცვის სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესებას. მაგალითად, გეგმა ასახავს ძალისხმევას სახალხო დამცველის აპარატის ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად, რომელიც აკონტროლებს ადამიანის უფლებათა დარღვევებსა და დისკრიმინაციის შემთხვევებს(სამოქმედო გეგმა, 2022). ეს ზომები შეესაბამება ევროკავშირის დირექტივებს, რომლებიც ავალდებულებენ წევრ სახელმწიფოებს განახორციელონ მკაცრი ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა და ხელი შეუწყონ თანაბარ მოპყრობას საზოგადოების ყველა ნაწილში.

გარდა ამისა, საქართველოს სამოქმედო გეგმა მოიცავს კონკრეტულ აქტივობებს, რომლებიც მიზნად ისახავს ანტიდისკრიმინაციული კანონების შესახებ ცნობიერების ამაღლებას ფართო საზოგადოებაში და ეთნიკურ უმცირესობებს შორის. ეს მიდგომა შეესაბამება ევროკავშირის დამოკიდებულებას საზოგადოების განათლებასა და ცნობიერებაზე, როგორც უფრო ინკლუზიური საზოგადოების ხელშეწყობის ინსტრუმენტებზე.

მრავალფეროვნების ხელშეწყობა

მრავალფეროვნების ხელშეწყობა აუცილებელია კულტურულად მდიდარი და ინკლუზიური საზოგადოების შესაქმნელად. ევროკავშირი ხაზს უსვამს კულტურულ მრავალფეროვნებას, როგორც მისი ინტეგრაციის პოლიტიკის ქვაკუთხედს, რაც წახალისებს წევრ ქვეყნებს, აღიარონ და აღნიშნონ მრავალფეროვანი კულტურული გავლენა საკუთარ მოსახლეობაში.

საქართველოს სამოქმედო გეგმაში მოცემულია ის ამოცანები და აქტივობები, რაც მეტ-ნაკლებად შეესაბამება ამ პრინციპს და მიზნად ისახავს კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობას განათლებისა და საჯარო კამპანიების მეშვეობით. მაგალითისთვის, სამოქმედო გეგმაში ცალკეული ამოცანა ეთმობა ისეთ საკითხს, როგორცაა კულტურული მრავალფეროვნების პოპულარიზაცია ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში. აღნიშნულის აქტივობებად განსაზღვრულია კულტურული ფესტივალები, ფოლკლორული საღამოები თუ სხვა(სამოქმედო გეგმა, 2022). შესაძლოა ითქვას, რომ მსგავსი ღონისძიებები მისასალმებელია, თუმცა რეალურად არსებულ პრობლემასა და გამოწვევას, რაც დღეს დგას ეთნიკური აზერბაიჯანელების წინაშე, მათ მოგვარებას იგი ვერ უზრუნველყოფს.

ევროკავშირის კიდევ ერთი სტანდარტისა და ვინდიშერის ერთ-ერთი კრიტერიუმის, მრავალფეროვნების ხელშეწყობის მნიშვნელოვან მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ ეთნიკური უმცირესობების შშმ პირთათვის ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფა და მასთან დაკავშირებული აქტივობები. აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვნად შეესაბამება ევროკავშირის მოთხოვნებს მრავალფეროვნების შენარჩუნებასთან დაკავშირებით.

გეგმა ნაწილობრივ მოიცავს უმცირესობათა ენების ჩართვას საგანმანათლებლო პროგრამაში. გარდა ამისა, სამოქმედო გეგმა მოიცავს კულტურული გაცვლის პროგრამებს და ფესტივალებს, რომლებიც აღნიშნავენ საქართველოს ეთნიკური აზერბაიჯანელების მემკვიდრეობასა და ტრადიციებს(სამოქმედო გეგმა, 2022).

ეფექტური ჩართულობა კულტურულ, სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში

კულტურულ, სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ეფექტური ჩართვის შესაძლებლობა უმცირესობების ინტეგრაციის მნიშვნელოვანი კომპონენტია. ევროკავშირის სტანდარტები ხაზს უსვამს უმცირესობებისთვის თანაბარი შესაძლებლობების მინიჭების მნიშვნელობას, რათა სრულად მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში. საქართველოს სამოქმედო გეგმა აჩვენებს ამ პრინციპისადმი სწრაფვას რამდენიმე ძირითადი ინიციატივით.

პოლიტიკურ სფეროში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის ზრდისთვის 2021-22 წლების სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია კონკრეტული აქტივობები, რამაც უმცირესობების ადგილობრივ თუ სამთავრობო ორგანოებში დასაქმებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას ხელი უნდა შეუწყოს. ეს მიიღწევა საარჩევნო რეფორმებითა და სხვადასხვა პროგრამით, რომლებიც შექმნილია უმცირესობათა ლიდერების გაძლიერებისა და პოლიტიკური მონაწილეობის წახალისების მიზნით. მაგალითისთვის, სამოქმედო გეგმაში, ერთ-ერთ ამოცანად განსაზღვრულია მმართველობის და თვითმმართველობის განხორციელების

პროცესში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის ხელშეწყობა, რომლის აქტივობადაც განსაზღვრულია: საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლება, შესაბამისი ტრენინგ-კურსების ორგანიზება და სხვა(სამოქმედო გეგმა, 2022).

ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო და პოლიტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, 2021-22 წლების სამოქმედო გეგმაში გაწერილია კონკრეტული აქტივობები, რამაც საარჩევნო უფლებების შესახებ ამომრჩეველთა ცნობიერება უნდა გაზარდოს და ინფორმაციის ნაკლებობით გამოწვეული პრობლემებიც უნდა აღმოფხვრას. მაგალითისთვის, ერთ-ერთ აქტივობად განსაზღვრულია: საინფორმაციო კამპანია “ვესაუბროთ ამომრჩეველს”. (სამოქმედო გეგმა, 2022). ერთი შეხედვით აღნიშნული მიღებულ პრაქტიკას წარმოადგენს ცნობიერების ამაღლების კუთხით, თუმცა პრაქტიკა სხვა რეალობას აჩვენებს. სიღრმისეულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ კამპანიებში მონაწილეობენ ადგილობრივი თვითმმართველობისა თუ მერიის წარმომადგენლები, მათთან დაახლოებული პირები, ხოლო მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის მსგავსი აქტივობები ძირითადად ხელმისაწვდომი არ არის.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობასა და პოპულარიზაციისკენ მიმართულ კონკრეტულ აქტივობებს, რაც ვინდიშერის აღნიშნული კრიტერიუმის ნაწილად შესაძლოა მივიჩნიოთ. მაგალითისთვის, 2017-2020 წლებში უმცირესობების თეატრებისა და მუზეუმების მხარდაჭერისთვის ბიუჯეტიდან 8 მილიონ ლარზე მეტი გამოიყო, რაც სამოქმედო გეგმის მიხედვით, მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება. რაც შეეხება ეკონომიკურ ინტეგრაციას, სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია კონკრეტული აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს ეთნიკური აზერბაიჯანელების ეკონომიკურ სტაბილურობას. მაგალითისთვის, ეთნიკური უმცირესობებისთვის სხვადასხვა ტიპის გრანტების ზრდის ხელშეწყობა და სხვა.

გეგმა ასევე ითვალისწინებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხარდაჭერას, რომლებიც მხარს უჭერენ უმცირესობების უფლებებს, რაც უზრუნველყოფს ამ ჯგუფების ხმას პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში.

აღნიშნული სამი კრიტერიუმის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ძირითადი მიგნებები:

- თანაბარ მოპყრობასთან დაკავშირებული ევროკავშირის მოთხოვნები სახელმწიფო პოლიტიკის 2021-22 წლების სამოქმედო გეგმაში მეტ-ნაკლებად არის გათვალისწინებული კონკრეტული ანტიდისკრიმინაციული ღონისძიებების სახით.
- რაც შეეხება მრავალფეროვნების შენარჩუნებას, 2021-22 წლების სამოქმედო გეგმა, წინა წლების მსგავსად, მოიცავს კრიტიკულად მნიშვნელოვან ამოცანებსა თუ აქტივობებს, თუმცა დასახელებული ღონისძიებების შესრულების ნაწილში გარკვეული ჩავარდნები შეინიშნება, რასაც სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზიც ადასტურებს.
- რაც შეეხება ეფექტურ ჩართულობას სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში - აღნიშნული საკითხი საკმაოდ კომპლექსურია და დღემდე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. ანალიზმა ცხადყო, რომ ევროკავშირის მსგავსი დირექტივა ნაწილობრივ

ასახული ან/და სამოქმედო გეგმაში სრულადაა ასახული, თუმცა პრობლემურია მისი პრაქტიკაში განხორციელების საკითხი.

დასკვნა

21-ე საუკუნეში დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა წარმოუდგენელია ეთნიკური უმცირესობების მრავალფეროვნების ხელშეწყობისა და მათი ძირითადი უფლებების დაცვის გარეშე. საქართველო სწორედ იმ ქვეყანას წარმოადგენს, რომელსაც ეთნიკურ აზერბაიჯანელებთან თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია. საყურადღებოა აღინიშნოს ისიც, რომ ეთნიკური აზერბაიჯანელები მნიშვნელოვან ინტერესს იჩენენ საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო და პოლიტიკური პროცესების მიმართ და აქტიურად ერთვებიან მათში, რაც არაერთი არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევითაც დასტურდება.

საქართველოში ეთნიკური აზერბაიჯანელის სამოქალაქო და პოლიტიკური ინტეგრაციის ძირითადი კურსი განსაზღვრულია სახელმწიფო პოლიტიკაში, რომლის 2021-22 წლების სამოქმედო გეგმაც შესწავლის მთავარ ობიექტს წარმოადგენდა.

კვლევის პროცესმა ცხადყო, რომ სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტში ეთნიკური აზერბაიჯანელების გამოწვევები და სამოქალაქო-პოლიტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები არაჯეროვნადაა ასახული. მეტიც, სიღრმისეულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ არსებობს მთელი რიგი პრობლემები, რასაც სამოქმედო გეგმა არ ეხება. დგინდება, რომ გამოწვევებისა და საჭიროებების სახელმწიფოსეული იდენტიფიკაციის მექანიზმი გარკვეულ ხარვეზებს შეიცავს, რაც სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურად განხორციელებას უშლის ხელს.

მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ის ფაქტიც, რომ სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტი, ხშირ შემთხვევაში, შემუშავებულია მხოლოდ ცალკეული კვლევების საფუძველზე, თუმცა მასში არ მონაწილეობენ ეთნიკური აზერბაიჯანელები, შესაბამისი ექსპერტული ჯგუფები თუ სხვა. ეს ყოველივე კი ხელს უშლის ეთნიკური აზერბაიჯანელების რეალური საჭიროებების სწორად გამოვლენას და მის ინკლუზიურ ასახვას სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტში.

რაც შეეხება ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზების ნაწილს, მართალია, ევროკავშირის არ გააჩნია ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ერთიანი პოლიტიკა, თუმცა საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი აქვს კონკრეტული ვალდებულებები, რაც ნაშრომში ვინდიშერის კრიტერიუმების საფუძველზე გაანალიზდა. კვლევამ გამოკვეთა, რომ სტრუქტურულად და შინაარსობრივად დოკუმენტი თანხვედრაშია ევროკავშირის სტანდარტებთან, თუმცა განხორციელებისა და აღსრულების ეტაპი მეტად პრობლემურია. ამასთანავე, საინტერესოა, ვინდიშერის კრიტერიუმებიც, რომლითაც გამოჩნდა, რომ თანაბარი მოპყრობის, მრავალფეროვნების შენარჩუნებისა და უმცირესობების სამოქალაქო თუ პოლიტიკური ჩართულობის საკითხებს სახელმწიფოს მხრიდან მეტი ყურადღება და რელევანტური მექანიზმების შემუშავება სჭირდება, რაც ეთნიკური უმცირესობების სახელმწიფო დოკუმენტს ევროპულ სტანდარტებთან კიდევ უფრო დაახლოვებს.

ბიბლიოგრაფია

- Bertrand, J., & Haklai, O. (2015). *Democratization and ethnic minorities – Conflict or compromise? Routledge.
- Crowley, J. (2001). The political participation of ethnic minorities. *International Political Science Review*.
- Duyvene, T., & Koopmans, R. (2005). The integration of ethnic minorities into political culture: The Netherlands, Germany and Great Britain compared. *Acta Politica*, 50-73.
- Jones, M. (2015). Racial and ethnic disparities in breastfeeding. Retrieved from <https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/25831234/>
- Kasatkina, N. (2003). The adaptation of ethnic minority groups: Defining the problem (Case of Lithuania). *Ethnicity Studies*.
- Kymlicka, W. (2017). *Liberal multiculturalism as a political theory of state-minority relations*. SAGE.
- Miller, Q. (2012). Ethnic identity and educational outcomes in African American college students.
- OHCHR. (2010). *Minority rights: International standards and guidance for implementation*, 7-12. Retrieved from <https://www.ohchr.org/en/publications/special-issue-publications/minority-rights-international-standards-and-guidance>
- Oxford Reference. (2018). *Copenhagen criteria, Review*. Retrieved from <https://www.oxfordreference.com/display/10.1093/oi/authority.20110803095637775>
- Rovny, J. (2001). *Ethnic minorities, political competition and democracy*.
- Varshney, A. (2002). *Ethnic conflict and civic life: Hindus and Muslims in India*.
- Windischer, R. (2015). *Integration of new and old minorities in Europe: Different or similar policies and indicators? Integrim Online Papers*.
- გორგოძე, გ. (2008). ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაცია.
- კანდელაკი, ს. (2020). ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია საქართველოში: პოლიტიკური ჩართულობის ბარიერები, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.
- მისენაშვილი, ს. (2020). ევროკავშირი და ეთნიკური უმცირესობები საქართველოში: ინფორმაციული ვაკუუმი და დეზინფორმაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.
- საქსტატი. (2020). მოსახლეობა და დემოგრაფია. Retrieved from <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia>

საქართველოს მთავრობა. (2015). სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი. (2021). სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2021-2022 წწ. სამოქმედო გეგმა.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2014). ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება. Retrieved from <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>

სორდია, გ. (2014). რა უნდა ვიცოდეთ თანამოქალაქე ეთნიკური აზერბაიჯანელების შესახებ. Retrieved from <https://tdi.ge/ge/page/ra-unda-vicodet-tanamokalake-etnikuri-azerbaijanelebis-shesaxeb>

ფირანიშვილი, ს. (2019). ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა. *ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი.

NIMD. (2017). ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია საქართველოში.

Smr.gov.ge. (2022). სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის 2021-2022 წწ. სამოქმედო გეგმა. სახელმწიფო მინისტრის აპარატი.



რუსეთ-უკრაინის ომის ზეგავლენა რუსეთის სტრატეგიულ დოკუმენტებში NATO-სა
და EU-ს ქვეყნების ასახვაზე

(რუსეთის სტრატეგიული დოკუმენტების შედარებითი ანალიზის საფუძველზე)

მარიამ ბეინაშვილი

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: mariam.beinashvili000@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის კურსს, როგორც წესი, მეტწილად განაპირობებს მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა და რესურსები, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი აქვს საომარ მოქმედებებს. 2014 და 2022 წლებში რუსეთის ფედერაციამ დაიწყო ომი უკრაინაში, რომელიც გრძელდება დღემდე. აღნიშნულ ომს დიდი გავლენა აქვს მსოფლო პოლიტიკური წესრიგის ფორმირებაზე. სწორედ ამიტომ, ვთვლით, რომ საინტერესოა შევისწავლოთ, თუ როგორ შეცვალა რუსეთ-უკრაინის ომმა დასავლური ქვეყნების აღქმა რუსეთის ფედერაციისთვის, როგორ შეიცვალა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ვექტორები ომის დაწყების შემდეგ და რა როლს იკავებენ დასავლური სახელმწიფოები მის სტრატეგიულ დოკუმენტებში (კერძოდ, საგარეო პოლიტიკის დოქტრინა). კვლევის მიზანია რუსეთის სტრატეგიული დოკუმენტების (2013 და 2023 წლების საგარეო პოლიტიკის კონცეფციები) შედარებითი ანალიზის საფუძველზე შევისწავლოთ, როგორ შეიცვალა ომის შემდეგ ევროკავშირისა და ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ქვეყნების მიმართ რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული პოლიტიკა და აღქმა რუსეთის სტრატეგიულ დოკუმენტებში, კერძოდ, საგარეო პოლიტიკის დოქტრინაში.

კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებულია პირველადი და მეორეული დოკუმენტების ანალიზი, ვინაიდან პირველადი წყაროები საშუალებას გვაძლევს პირველწყაროდან მოვიპოვოთ ღია წვდომის ინფორმაცია, ხოლო, მეორეული წყაროების მეშვეობით საშუალება გვქვია პირველადი წყაროების კრიტიკული თუ შედარებითი ანალიზის, რაც ჩვენი კვლევისთვის არსებითად მნიშვნელოვანია.

კვლევის შედეგების შეჯამებისას დავასკვნით, რომ რუსეთის სტრატეგიული პოლიტიკა ნატოსა და ევროკავშირის სახელმწიფოებისა და მათი ალიანსების მიმართ შეცვლილია სამ ასპექტში, ესენია: რუსეთის დამოკიდებულება ომისა და მშვიდობის, სტრატეგიული თანამშრომლობის და საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ. 2014 და 2022 წლებში დაწყებული რუსეთ-უკრაინის ომის შემდგომ რუსეთის სტრატეგიულ დოკუმენტებში დაფიქსირებულია პოზიცია, რომ ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკა მიმართულია რუსეთის ფედერაციის ცივილიზაციური როლის შელახვისა და დასუსტებისკენ, რასაც 2013 წლის ომამდელ სტრატეგიულ დოკუმენტებში არ ვხვდებით. აგრეთვე, გამოკვეთილია ევროპის მიმართ დამოკიდებულება ომისა და მშვიდობის კონტექსტში, სადაც ზემოთ აღნიშნული ომი განიხილება, როგორც დასავლური სამყაროს მხრიდან ღია კონფრონტაცია და მათი მსოფლიო ჰეგემონიისაკენ სწრაფვა.

საკვანძო სიტყვები: რუსეთი; ომი; სტრატეგიული დოკუმენტები; დასავლეთის ქვეყნები.

შესავალი

რუსეთის ფედერაციის მიერ 2014 და 2022 წლებში დაწყებული ომი უკრაინაში დაგმოილია დასავლური საზოგადოების მიერ და ამასთან, რუსეთის ფედერაცია არაერთხელ აღმოჩნდა სანქცირებული დასავლური ქვეყნების მხრიდან. ასევე აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაციის პოლიტიკა ხასიათდება იზოლაციური არსებობითა და დასავლური ღირებულებების მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულებით, რაც, ცხადია, მოქმედებს საერთაშორისო პოლიტიკური ამინდის ფორმირებაზე. გასათვალისწინებელია, რომ დასავლეთის განვითარებული სახელმწიფოები წარმოადგენენ მთავარ აქტორებს მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე, ვინაიდან სწორედ ისინი ქმნიან და ავითარებენ ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ალიანსებს, როგორებიცაა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი თუ ევროპის კავშირი, რომელთაც წინამდებარე ნაშრომში შევეხებით. ეს უკანასკნელი რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობისას მკვეთრად გამოხატული პოზიციით გამოირჩევიან. ისინი გმობენ რუსულ ომსა და აგრესიულ პოლიტიკას. აღნიშნულმა კი, ცხადია, იმოქმედა რუსეთის საერთაშორისო პრესტიჟზე, მის რესურსებსა და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რამაც გამოიწვია რუსეთის საგარეო პოლიტიკის კურსის ცვლილება. გარდა ევროპული სახელმწიფოებისა, თავად რუსეთის ფედერაციაც ერთ-ერთი ეკონომიკური მაგნატია მსოფლიო ასპარეზზე მისი ნავთობისა თუ ბუნებრივი აირის რესურსების გათვალისწინებით. შესაბამისად, რუსეთის ფედერაციის პოლიტიკის ვექტორების ცვლილება მნიშვნელოვნად მოქმედებს საერთაშორისო პოლიტიკაზე. 2023 წლის მარტში რუსეთმა გამოსცა განახლებული საგარეო პოლიტიკის კონცეფცია, რომელიც არის მისი ოფიციალური პოზიცია, ხოლო ომამდე აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტი გამოცემულია 2013 წელს. კვლევის ფარგლებში განხილული სტრატეგიული დოკუმენტების შედარებითი ანალიზისას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოვლინდა სამი ძირითად ასპექტი.

1.1. საერთაშორისო ორგანიზაციები

რუსეთის ფედერაცია საკუთარ სტრატეგიულ დოკუმენტებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკის განხილვას, ვინაიდან თანამედროვე სამყაროში განვითარებულ სახელმწიფოთა დიდი ნაწილი სხვადასხვა სახის საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ალიანსებშია გაერთიანებული. რუსეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსს (NATO), ევროპის კავშირს (EU) და ევროპის საბჭოს. საინტერესოა, რომ მათ მიმართ რუსეთის ფედერაციის პოლიტიკა ომის დაწყების შემდეგ მნიშვნელოვნად იცვლება. 2013 წლის რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში ვკითხულობთ: „რუსეთის ფედერაციას მიაჩნია, რომ მას და ყველა ევრო-ატლანტიკურ სახელმწიფოს, მათ შორის ნატოს წევრ სახელმწიფოებს, აქვთ საერთო სტრატეგიული მიზნები, რომლებიც მოიცავს მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებას“ (The Concept of the Foreign Policy of the Russian Federation, 2013). აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, რუსეთის ფედერაცია თვლის, რომ მას და ალიანსის ქვეყნებს საერთო მიზნები აქვთ სტაბილურობისა და მშვიდობის დამყარების

სახით, თუმცა, რუსეთი ამავე დოკუმენტში ხაზს უსვამს მის უარყოფით დამოკიდებულებას ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ტერიტორიული გაფართოვების მიმართ, განსაკუთრებით ეს ეხება ალიანსის აღმოსავლეთით გაფართოვებას. „რუსეთი ინარჩუნებს ნეგატიურ დამოკიდებულებას NATO-ს გაფართოებისა და ზოგადად, NATO-ს სამხედრო ინფრასტრუქტურის რუსეთის საზღვრებთან მიახლოების მიმართ“ (The Concept of the Foreign Policy of the Russian Federation, 2013). ეს ბუნებრივია, რადგან უახლეს ისტორიაში ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისა და რუსეთის ფედერაციის ურთიერთობამ მრავალი კრიზისის ფაზა გაიარა. NATO-ს 1994 წლის გაფართოების შემდეგ პირველი ასეთი კრიზისი 1999 წელს სერბეთზე ატლანტიკური ალიანსის საჭაერო დარტყმებთან იყო დაკავშირებული, ხოლო შემდეგ 2008 წელს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოში დაწყებული ომის გამო (Tsygankov, A.P., 2018). რუსეთ-უკრაინის ომამდელ პერიოდში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთის ფედერაციას ჰქონდა ნეგატიური დამოკიდებულება NATO-ს გაფართოვების მიმართ, თუმცა იგი ხედავდა საერთო პოლიტიურ გზას და მიზნებს, რის გამოც რუსეთი მზად იყო ალიანსის ქვეყნებთან თანამშრომლობისთვის. საინტერესოა ის ფაქტი, რომ 2013 წლის დოკუმენტში რუსეთის ფედერაცია ევროპის საბჭოს მოიხსენიებს, როგორც „დამოუკიდებელ უნივერსალურ ევროპულ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს მანდატი უზრუნველყოს ერთიანი იურიდიული და ჰუმანიტარული სივრცე კონტინენტზე მისი უნიკალური კონვენციური მექანიზმების მეშვეობით“ (The Concept of the Foreign Policy of the Russian Federation, 2013). 2014 წელს უკრაინაში დაწყებული ომი იყო მესამე ტალღა რუსეთისა და ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ურთიერთობის კრიზისის. ამ კრიზისმა, წინა ორი კრიზისისგან განსხვავებით, გამოიწვია NATO-ს სამხედრო და სტრატეგიული პოლიტიკის გადახედვა რუსეთის მიერ წარმოებული სეპატარისტული მოქმედებებისა და ყირიმის ანექსიის გამო. ჯერ კიდევ, 2014 წლის აპრილში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ (PACE) რუსეთის ფედერაციას შეზღუდული ვადით შეუჩერა ხმის მიცემის უფლება უკრაინაში დაწყებული ომის გამო. ეს პროცესი დასრულდა 2016 წელს ვარშავის სამიტზე, რომელმაც პოლიტიკური სურათის აღქმა მარტივი გახადა. მიუხედავად იმისა, რომ ალიანსი კრემლთან დიალოგის მნიშვნელობას ხედავდა, მათ მიერ რუსეთის ფედერაციის აღქმა ხარისხობრივად შეიცვალა (Tsygankov, A.P., 2018). სწორედ, ზემოთქმული მიზეზების გამო 2022 წლის 16 მარტს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა შეუჩერა წევრის სტატუსი რუსეთის ფედერაციას. ყოველივე ზემოთქმულმა, ცხადია, იმოქმედა რუსეთის პოლიტიკაზე და 2023 წლის საგარეო პოლიტიკის დოქტრინაში ვხვდებით ჩანაწერს, რომელიც ერთად განიხილავს ევროპის კავშირს, ევროპის საბჭოსა და ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსს. რუსეთი მიზნად ისახავს „არამეგობრული ევროპული ქვეყნების, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს სოციო-ეკონომიკური განვითარების შემცირებას და საფრთხეების განეიტრალებას მათი მხრიდან“ და მისი აზრით, აღნიშნული გაერთიანებები მიმართულია რუსეთის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისკენ (The Concept of the Foreign Policy of the Russian Federation, 2013). უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წლის შემდეგ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრი სახელმწიფოების მიმართ რუსეთის ფედერაციის დამოკიდებულება, ფაქტობრივად, არ

შეცვლილა. რუსეთის ფედერაციის სტრატეგიულ დოკუმენტებში, სწორედ, 2013 წელს საბოლოოდ გაქრა ილუზია იმისა, რომ რუსეთი ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან სტრატეგიულ თანამშრომლობას განიხილავდა (Monaghan, A. 2013).

1.2. სტრატეგიული თანამშრომლობა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთის ფედერაცია 2013 წლის დოკუმენტებში თავს აღიქვამს ევროპული სახელმწიფოების პარტნიორად და ლოგიკურია, რომ მას ოფიციალურ პოზიციაში გაცხადებული აქვს მათთან სტრატეგიული თანამშრომლობის სურვილი. მაგალითისთვის, „რუსეთი მხარს უჭერს რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობას, რომელიც დაფუძნებულია თანასწორობასა და ორმხრივი სარგებლის მიღებაზე“ (The Concept of the Foreign Policy of the Russian Federation, 2013) - აღნიშნულ ჩანაწერს ვხვდებით 2013 წლის დოკუმენტში. აღსანიშნავია, რომ ეს პერიოდი არის ევროპაში ეკონომიკური კრიზისის ხანა, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა რუსეთის ფედერაციისთვის, შეეთავაზებინა თანამშრომლობა ეკონომიკურად დასუსტებული ევროპისთვის. ვიტოლდ როდკევიჩის სტატიაში, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ცენტრისთვისაა დაწერილი ვკითხულობთ, რომ „2013 წლის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია შესაძლოა წავიკითხოთ, როგორც „გეო-ეკონომიკური და გეოპოლიტიკური გარიგებების შეთავაზება დასავლეთისთვის“ (Rodkiewicz, W., 2013). თუმცადა, რუსეთის მხრიდან აღნიშნულ თანამშრომლობის შეთავაზებას თან ახლდა გარკვეული მოთხოვნები, როგორცაა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის დე-ფაქტო ნეიტრალიზაცია, ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებში უვიზო მიმოსვლა რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებისთვის და სხვა მრავალი. აღნიშნულის გააზრება გვხმარება იმის გაგებაში, თუ რატომ გამოიწვია რუსეთ-უკრაინის ომმა ერთი შეხედვით, უცაბედი კარდინალური ცვლილებები რუსეთის ოფიციალურ ორგანოთა პოზიციებში, რომლებიც რუსეთის ფედერაციის სტრატეგიულ დოკუმენტებში ოფიციალურადაა გაცხადებული.

მას შემდეგ, რაც დასავლური სახელმწიფოების დიდმა ნაწილმა დაგმო რუსული ომი უკრაინაში და ევროპული სახელმწიფოების დიდმა ნაწილმა დაიწყო სხვა სტრატეგიული პარტნიორების ძიება (მაგალითისთვის, ნავთობმომწოდებელი ქვეყნების), გასაგები გახდა, რომ რუსეთის ომამდელი პოლიტიკა ნატოსა და ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების მიმართ შეიცვლებოდა. 2023 წლის საგარეო პოლიტიკის დოქტრინაში გაცხადებულია რუსეთის მიზნები და საგარეო პოლიტიკის კურსი სტრატეგიული თანამშრომლობის ასპექტებშიც, რომელიც გულისხმობს „ევროპული სახელმწიფოებისა და მათი ასოციაციებისთვის ისეთი პირობების შექმნას, რომ მათ შეწყვიტონ ანტირუსული კურსი, მათ შორის, რუსეთის საშინაო საქმეებში ჩარევა“ (The Concept of the Foreign Policy of the Russian Federation, 2013). გარდა ამისა, რუსეთი ევროპულ სახელმწიფოებს ადანაშაულებს არა მხოლოდ თანამშრომლობის პირობების დარღვევაში, არამედ „რუსული სულიერი და მორალური ღირებულებების შელახვაში“ (The Concept of the Foreign Policy of the Russian Federation, 2013), რაც, ფაქტობრივად, გამოიცხადებს თანამშრომლობის განვითარებას. საინტერესოა ის ფაქტი, რომ რუსეთის ფედერაცია 2013 და 2023 წლების დოკუმენტებში

ბრალს სდებს ამერიკის შეერთებულ შტატებს ევროპის სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის ნორმალიზების გართულებაში და ე.წ. გამყოფი ხაზების გაყვანასა და გაღრმავებაში, რაც ხელს უწყობს ეკონომიკურ კონკურენციას რუსეთსა და ევროპის ქვეყნებს შორის და რუსეთის პერსპექტივიდან, ხელს უშლის თანამშრომლობის განვითარებას. ეს კი „სასათბურე პირობებს უქმნის ამერიკის შეერთებული შტატების გლობალურ ბატონობას“ (The Concept of the Foreign Policy of the Russian Federation, 2013).

სწორედ ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, რუსეთის ფედერაცია მიზნად ისახავს ევროპულ სახელმწიფოებთან თანაარსებობის ახალი მოდელის შემუშავებას (ეს იდეა იყო ჩადებული 2013 წლის დოკუმენტშიც, თუმცა ირიბი სახით, როგორც ზემოთ განვიხილეთ). ეს მისი აზრით, განპირობებულია ევრაზიის ევროპული ნაწილის ხალხებისა და სახელმწიფოების გეოგრაფიული თუ ღრმა კულტურული სიახლოვით. ცხადია, ამ თანამშრომლობის მოდელის შემუშავებასა და დანერგვაში წარმართველ ძალად მოაზრებულია რუსეთის ფედერაცია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსეთის პოლიტიკა ევროპულ სახელმწიფოებთან მიმართებით რუსეთ-უკრაინის ომმა ძირეულად შეცვალა. რუსეთის ფედერაციამ ამავე მიზეზით შეცვალა საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული ვექტორები და თუკი, 2013 წლის კონცეფციაში სტრატეგიულ პარტნიორებად ევროკავშირის სახელმწიფოები არიან მოაზრებულნი, 2023 წლის დოკუმენტში წერია, რომ რუსეთის ფედერაცია მიზნად ისახავს „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ორმხრივად მომგებიანი თანამშრომლობის გაძლიერებას“, რათა მიაღწიოს სტაბილურობას რეგიონალურ თუ გლობალურ დონეზე (The Concept of the Foreign Policy of the Russian Federation, 2023). ეს წარმოადგენს რუსეთის დასავლეთისკენ მიმართული აგრესიული პოლიტიკის ლოგიკურ გაგრძელებას. აღსანიშნავია, რომ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისა და ევროპის კავშირის სახელმწიფოების დიდი ნაწილი წარმოადგენენ დასავლურ პოლიარქიებს, რაც თავის მხრივ ემყარება ლიბერალური დემოკრატიის ძირეულ პრინციპებს. აღნიშნული სრულ წინააღმდეგობაში მოდის რუსეთის ფედერაციის იდეოლოგიურ პოზიციასა თუ სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის მოდელთან. რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული პოლიტიკის ცვლილებას ომის შემდგომ დასავლური პოლიარქიების მიმართ იწვევს იდეოლოგიური თანხვედრის არქონაც, რაც არა მხოლოდ ახლა, არამედ მრავალი ათწლეულის განმავლობაში აქტუალური საკითხია. 2023 წლის საგარეო პოლიტიკის დოქტრინაში აღნიშნულია, რომ თანამედროვეობაში განსაკუთრებით იკვეთება ნეოკოლონიალიზმი რუსეთის ფედერაციის მიმართ (The Concept of the Foreign Policy of the Russian Federation, 2016). ნეოკოლონიალიზმის ლოგიკას კი რუსეთის ფედერაცია ნეოლიბერალურ შეხედულებებში ხედავს. რუსეთის აგრესიული პოლიტიკის, ადამიანთა უფლებების, საერთაშორისო სამართლის ნორმებისა თუ ომის სამართლის მთავარი პრინციპების დარღვევის დაგმობა რუსეთის ფედერაციის მიერ აღიქმება, როგორც ტრადიციული რუსული ღირებულებების შელახვის მცდელობა. ეს საკითხი კი განსაკუთრებით აქტუალური, სწორედ, რუსეთ- უკრაინის ომის მსვლელობისას გახდა და ვთვლით, რომ რუსული შოვინიზმი ზემოთ აღნიშნული შეხედულების ჩამოყალიბებისთვის სასათბურე პირობებს ქმნის. სტრატეგიული თანამშრომლობის ვექტორების გადანაცვლება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისკენ, სწორედ, ამ მიზეზით

შეიძლება აიხსნას. ამ უკანასკნელსა და რუსეთის ფედერაციას აქვთ მრავალი საერთო შტრიხი პოლიტიკური სისტემის მოწყობისა და იდეოლოგიური პოზიციის ასპექტებში.

1.3. ომი და მშვიდობა

ომისა და მშვიდობის რაობის საკითხის განხილვა რუსეთის ფედერაციის პერსპექტივიდან ძალზედ საინტერესო საკვლევაა, ვინაიდან რუსეთ- უკრაინის ომი თანადროული პროცესია და ამავდროულად, სწორედ, ომის პროცესია ის გარდამტეხი მოვლენა, რომელმაც კარდინალური ცვლილებები გამოიწვია რუსეთის ფედერაციის ოფიციალურ პოზიციაში დასავლური სახელმწიფოების მიმართ. აღნიშნულ საკითხშიც 2013 წელს რუსეთის ფედერაციას არ ჰქონია ხისტი პოლიტიკა. „რუსეთს მიაჩნია, რომ ყველა ევრო-ატლანტიკურ სახელმწიფოს, მათ შორის ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრ სახელმწიფოებს აქვთ საერთო სტრატეგიული ინტერესები, რომელიც მოიცავს მშვიდობის დამყარებას და სტაბილურობის შენარჩუნებას“ (The Concept of the Foreign Policy of the Russian Federation, 2013). აღნიშნულის მკვეთრად საპირისპიროდ, 2023 წლის დოკუმენტში რუსეთის ფედერაცია აცხადებს, რომ დასავლურ საზოგადოებას აქვს ჰეგემონური ამბიციები და ის იმედოვნებს, რომ დასავლური სახელმწიფოები გააანალიზებენ რუსეთთან კონფრონტაციის უპერსპექტივობას. გარდა ამისა, რუსეთი აცხადებს, რომ დასავლური სახელმწიფოები მიზნად ისახავენ რუსეთის ფედერაციის „ცივილიზაციური როლის შელახვას უკრაინის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დაცვის საბაზით“ (The Concept of the Foreign Policy of the Russian Federation, 2023). აღნიშნული ცვლილება საინტერესოა, რამდენიმე მიზეზის გამო. უპირველესად, რუსეთის ფედერაცია რუსეთ-უკრაინის ომს აღიქვამს, როგორც დასავლური სახელმწიფოების კონფრონტაციას რუსეთის ფედერაციასთან, რაც, მისი აზრით, მათივე ჰეგემონური ინტერესებითაა განპირობებული. ასევე, დასავლური სახელმწიფოების „სამშვიდობო პოლიტიკა“ მის პერსპექტივაში შეცვლილია, როგორც „დამპყრობლური პოლიტიკა“. საინტერესოა, თავად უკრაინის შესახებ რუსეთის დამოკიდებულება, ვინაიდან უკრაინა არის ევროპული სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც რუსეთის ფედერაციამ დაიწყო საომარი მოქმედებები. ზემოთ აღნიშნულ სტრატეგიულ დოკუმენტში უკრაინის შესახებ ვრცლად არ წერენ რუსეთის სახელმწიფო ორგანოები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ უკრაინაში ომის დაწყების ინიციატორად რუსეთის ფედერაცია დასავლურ სახელმწიფოებს მოიაზრებს. დოკუმენტში ნათქვამია, რომ „ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა სატელიტებმა უკრაინის ვიტალური ინტერესების დაცვის საბაზით გამოუცხადეს ჰიბრიდული ომი რუსეთს“ (The Concept of the Foreign Policy of the Russian Federation, 2023). დასავლური სახელმწიფოებისა და მათი ალიანსების მიერ დაგმობილი რუსული აგრესია რუსეთის ფედერაციის ოფიციალური ორგანოების განმარტებით არის ჰიბრიდული ომის მეთოდების რეპერტუარი, რომელიც მიმართულია რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური სიძლიერისა და კულტურული თუ სულიერი ღირებულებების შელახვისკენ. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ფედერაცია 2023 წლის დოკუმენტში დასავლური სამყაროს კონფრონტაციას განიხილავს, როგორც ნეოკოლინიალიზმს. აღნიშნული კი, მისივე აზრით, ხორციელდება არალეგალური

ინსტრუმენტებისა და მეთოდების ფართო სპექტრის გამოყენებით და მიზნად ისახავს სახელმწიფო გადატრიალებების პროვოცირებასა და სამხედრო კონფლიქტების გამოწვევას რუსეთის ფედერაციაში (The Concept of the Foreign Policy of the Russian Federation, 2023), რაც რუსეთის ფედერაციის მხრიდან აღიქმება, როგორც ირიბი მილიტარისტული ჩარევა რუსეთის პოლიტიკაში დასავლური სახელმწიფოების მხრიდან. საინტერესო კი ისაა, რომ მსგავს პოლემიკას 2013 წლის საგარეო პოლიტიკის დოქტრინაში არ ვხვდებით.

კვლევის დასკვნები

ამრიგად, რუსეთის ფედერაციის ორი სტრატეგიული დოკუმენტის, 2013 და 2023 წლების საგარეო პოლიტიკის დოქტრინების შედარებითი ანალიზის შედეგად მივიღეთ კვლევის შედეგები, რომელიც გავშალეთ სამ ასპექტად, ესენია: საერთაშორისო ურთიერთობები, ომი და მშვიდობა და თანამშრომლობა. საერთაშორისო ურთიერთობების ასპექტში რუსეთის ფედერაცია 2023 წლის სტრატეგიულ დოკუმენტში აცხადებს კარდინალურად შეცვლილ პოზიციას ევროპის საბჭოსა და ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების მიმართ, რაც განპირობებულია 2014 და 2022 წლებს დაწყებული რუსეთ- უკრაინის ომით, ვინაიდან აღნიშნულმა შეცვალა დასავლური სახელმწიფოების პოლიტიკა რუსეთის ფედერაციის მიმართ. როგორც დოკუმენტების ანალიზისას ირკვევა, რუსეთის ფედერაციის პოზიციიდან, ის სწორედ, აღნიშნული ქმედების გამო ცდილობს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ალიანსების საქმიანობისთვის ხელისშემშლელი პირობების შექმნას. ხოლო, რაც შეეხება ჩრდილო- ატლანტიკურ ალიანსს, მის მიმართ რუსეთის ფედერაციის ოფიციალური პოზიცია, ფაქტობრივად, უცვლელი რჩება 2013 წლიდან 2023 წლამდე: რუსეთის ფედერაცია მოითხოვდა და მოითხოვს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის დე-ფაქტო ნეიტრალიზაციას და აფიქსირებს მკაცრად ნეგატიურ დამოკიდებულებას ნატოს ტერიტორიული გაფართოვების მიმართ, განსაკუთრებით, შავი ზღვის რეგიონში.

ომისა და მშვიდობის ასპექტი კი მეტად აქტუალურია რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომისას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2013 წლის პოზიცია- „რუსეთს მიაჩნია, რომ ყველა ევროატლანტიკურ სახელმწიფოს, მათ შორის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრს სახელმწიფოებს აქვთ საერთო სტრატეგიული ინტერესები, რომელიც მოიცავს მშვიდობის დამყარებას და სტაბილურობის შენარჩუნებას“ (The Concept of the Foreign Policy of the Russian Federation, 2013) პოლარულად განსხვავებულად არის წარმოჩენილი 2023 წლის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში, სადაც რუსეთ- უკრაინის ომის დაწყების ინიციატორად რუსეთის ფედერაცია დასავლურ სახელმწიფოებს, კერძოდ კი ამერიკის შეერთებულ შტატებს ასახელებს (The Concept of the Foreign Policy of the Russian Federation, 2023). ამავე ასპექტში აღსანიშნავია, აგრეთვე, მილიტარისტული ინტერესების კონფლიქტი, რომელიც ჩრდილო- ატლანტიკურ ალიანსსა და რუსეთის ფედერაციას შორის დიდი ხანია არსებობს, თუმცა 2014 და 2022 წლებში დაწყებულმა რუსეთ-უკრაინის ომმა მეტად გაამძაფრა, ვინაიდან ალიანსის საზღვრების მიახლოება რუსეთის საზღვრებთან მის მიერ აღიქმება, როგორც ამ

უკანასკნელის მილიტარისტული, სუვერენული და ეკონომიკური პოზიციების შესუსტება. აღნიშნულის ლოგიკა კი რუსეთის პერსპექტივიდან შემდეგია: დასავლური სახელმწიფოები პრეტენზიას აცხადებენ მსოფლიო ჰეგემონიაზე და არ ეგუებიან აზრს, რომ მსოფლიო მულტიპოლარულია. რუსეთის ფედერაციის დასუსტება კი დასავლურ სახელმწიფოებს ხელს აძლევს მსოფლიო ჰეგემონიის მოპოვებაში (The Concept of the Foreign Policy of the Russian Federation, 2016).

ხოლო, რაც შეეხება სტრატეგიული თანამშრომლობის ასპექტს, საინტერესოა, რომ ყოველივე ზემოთ თქმულს წითელ ხაზად გასდევს კულტურული ღირებულებებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის დილემა. რუსეთის ფედერაციის 2013 წლის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია მიმართული იყო კრიზისისგან დასუსტებული ევროპისთვის ხელსაყრელი ეკონომიკური თანამშრომლობის შეთავაზებაში, ხოლო რუსეთ-უკრაინის ომის შემდგომ, 2023 წლის დოკუმენტში რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული ვექტორი მიმართულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისაკენ. დასავლური სახელმწიფოების მნიშვნელოვან სტრატეგიულ მოკავშირეებად მოაზრებას აღნიშნულ დოკუმენტში ვერ ვხვდებით. რუსეთის ფედერაცია ნატოსა და ევროკავშირის სახელმწიფოებთან სტრატეგიული თანამშრომლობის ხელისშემშლელ ერთ-ერთ ფაქტორად ასახელებს ტრადიციული რუსული ღირებულებების შელახვის მცდელობას „ფსევდოჰუმანური და ნეოლიბერალური ღირებულებების გავრცელებით დასავლური საზოგადოების მხრიდან“ (The Concept of the Foreign Policy of the Russian Federation, 2023). როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტრატეგიულ პარტნიორად დასავლური პოლიარქიების ნაცვლად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოაზრება განპირობებულია ასევე მსგავსი იდეოლოგიური პოზიციით. დასავლური სახელმწიფოებისა და რუსეთის იდეოლოგიური თანხვედრა მომავლის პერსპექტივადაც კი რთული წარმოსადგენია.

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2014 და 2022 წლების რუსეთ-უკრაინის ომმა გავლენა იქონია მსოფლიო წესრიგზე, განსაკუთრებით, ჩვენი კვლევისთვის საინტერესო საგანზე. აღნიშნულმა ომმა შეცვალა რუსეთის ფედერაციის ოფიციალური პოზიცია დასავლური სახელმწიფოების მიმართ, რომელიც მრავალ ასპექტში კარდინალურად განსხვავდება ომამდელი პოზიციისგან. თუმცა, უნდა ითქვას, რომ 2013 წლის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაშიც რუსეთის ფედერაცია დასავლეთს აღიქვამს საერთაშორისო არასტაბილურობის მზარდ წყაროდ (Rodkiewicz, W. 2013), თუმცა რუსეთის ფედერაცია ამ პოზიციას ხისტად არ აფიქსირებს, როგორც ამას ვხვდებით 2023 წლის სტრატეგიულ დოკუმენტში. საბოლოოდ კი შეიძლება აღინიშნოს, რომ ომის მოვლენათა ქრონიკამ არა შეცვალა, არამედ დააჩქარა რუსეთის ფედერაციის ხისტი პოზიციის გამოვლენა ოფიციალურ წყაროებში. 2023 წლის პოზიცია განსხვავდება 2013 წლის პოზიციისგან, როგორც ეს უკვე განვიხილეთ, თუმცა უკანასკნელი წარმოადგენს კარგ საფუძველს დასავლეთის მიმართ პოლიტიკის რადიკალური შეცვლისთვის.

ბიბლიოგრაფია:

The Concept of the Foreign Policy of the Russian Federation (2013, February12), (CSP No. 229), Retrieved June 5, 2023, from-<https://www.voltairenet.org/article202037.html>;

The Concept of the Foreign Policy of the Russian Federation. (2016, December1), (CSP No. 2232), Retrieved June 5, 2023, from-

<https://www.russiamatters.org/sites/default/files/media/files/Foreign%20Policy>;

The Concept of the Foreign Policy of the Russian Federation. (2016, December1), (CSP No. 2232), Retrieved June 5, 2023, from-

<https://www.russiamatters.org/sites/default/files/media/files/Foreign%20Policy>;

Giacomo,B. (2019), Ukraine and Black Sea: Russian Geopolitical Problem, ResearchGate;

Mankoff, J., Russia's War in Ukraine: Identity, History, and Conflict, (2022), CSIS;

Monaghan, A. (2013), The New Russian Foreign Policy Concept: Evolving Continuity, Chatham House;

Rodkiewicz, W. (2013), The Russian Federation's Foreign Policy Concept;

Tsygankov, A.P., (2018), The Sources of Russia's Fear of NATO, Science Direct, Retrieved: 03.09.2024;

<https://www.consilium.europa.eu/en/policies/sanctions/restrictive-measures-against-russia> ;



თანამედროვე ურბანული სამუშაო სივრცე და სოციალურ-პროფესიული დინამიკა
ვაკის, გლდანისა და დიდუბის რაიონების მაგალითზე

მარიამ არაბაშვილი

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

E-mail: Mariam.arabashvili916@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

სოციალურ-პროფესიული ჯგუფების და შემოსავლების არათანაბარმა სივრცითმა განაწილებამ და დიდი რაოდენობით ერთ გეოგრაფიულ არეალში კონცენტრაციამ ხელი შეუწყო ეკონომიკური ნიშნით განსხვავებული დასახლებების წარმოქმნას. ქალაქში გვხვდება „მდიდარი“ და „ღარიბი“ უბნები. ეს უკანასკნელი ხასიათდება რთული საცხოვრებელი პირობებითა და გაუმართავი, არაესთეტიური, განმეორებადი, შეუსაბამო ფასადებით (სალუქვაძე, 2008). მკაფიოდ იკვეთება სოციალური დიფერენციაცია საცხოვრებლისა და ცხოვრების დონის თვალსაზრისით, რის საფუძველზეც კვლევის მიზნად განისაზღვრა სოციალურ-პროფესიული ჯგუფების ტერიტორიულ კონცენტრაციათა განაწილების ძირითადი ტენდენციებისა და მათი ხელშემწყობი ფაქტორების იდენტიფიცირება. ძირითადი ტენდენციების გამოკვეთით მოცემულ კვლევაში დასტურდება, რომ ეკონომიკური პროცესები პირდაპირ ზემოქმედებს ურბანულ დაგეგმარებაზე. ურბანული ტერიტორიების ზრდას წინ უძღვის ცხოვრების ხარისხობრივი ცვლილებაც. ამ მხრივ, გლდანის, დიდუბისა და ვაკის რესპონდენტებს შორის სერვისებზე არაპროპორციული წვდომა ურბანულ ფრაგმენტაციას იწვევს. საჯარო დაწესებულებების და სერვისების ხელმისაწვდომობა, რომელიც უკონტროლო ურბანული ფრაგმენტაციის თავიდან აცილებას უწყობს ხელს, ვაკის ტერიტორიაზე კონცენტრირებული. სამივე რაიონის სეგრეგაციის დონე 19.53%-ს აღწევს. ვაკის ტერიტორიაზე ლოკალიზებული ბიზნეს და საგანმანათლებლო სექტორები, რომლებიც კვალიფიციურ კადრებს მოითხოვენ შედარებით მაღალი ანაზღაურებით, უბიძგებს ნაკლებ ურბანიზებული ტერიტორიების „მშრომელებს“ შიდა მიგრაციას მიმართონ. საბოლოო ჯამში, სამივე რაიონში წარმოიქმნება საერთო ეკონომიკური და სოციალური მახასიათებლების მქონე „მუშათა კლასი“. ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ გლდანის და დიდუბის რესპონდენტთა საერთო სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლის ფონზე, სეგრეგაციის დონე მხოლოდ 19.10%-ს აღწევდა, როცა გლდანსა და ვაკის სოციალურ-ეკონომიკური ნიშნით სეგრეგაციის დონე 35.27% იყო. აღნიშნული რაოდენობრივი მაჩვენებელი ხსნის სამ რაიონს შორის ფუნქციების გადანაწილების მნიშვნელობასაც მიკრო დონეზე.

საკვანძო სიტყვები: ურბანიზაცია, ურბანული ინტეგრაცია, სუბურბანიზაცია, სეგრეგაცია.

შესავალი

ურბანიზაცია არის საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის პროცესი, რაც ქალაქსა და მის გარეუბნებში მოსახლეობის ზრდას გულისხმობს. ამ პროცესის მნიშვნელოვანი გავლენა ეკონომიკაზე იკვეთება ურბანულ ტერიტორიებზე საფინანსო ინსტიტუტების, საგანმანათლებლო ცენტრების, ჯანდაცვისა და სხვა საწარმოო კაპიტალის კონცენტრაციით. სსრკ-ს დაშლის შემდეგ მიმდინარეობდა მასიური პრივატიზაციის პროცესი. სოციალიზმის კოლაფსის პარალელურად, საერთაშორისო სუბსიდირებით დაიწყო ნეოლიბერალური სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები. საქართველოში გარდამავალი პერიოდი შოკური თერაპიით დაიწყო, რაც ეკონომიკურ ლიბერალიზაციას გულისხმობდა: საწარმოთა პრივატიზაციის, საკრედიტო ინსტიტუტების რეფორმირებისა და ფასების ლიბერალიზაციის სახით, რასაც საბინაო სექტორში სერიოზული ცვლილებები მოჰყვა. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სახელმწიფოს ხელში არსებული საბინაო ფონდის 90% მოსახლეობის საკუთრებაში გადავიდა პრივატიზაციის შედეგად (მაისურაძე, 2019)

სსრკ-ს პერიოდში საცხოვრებლის ადმინისტრაციული ალოკაციის გამო სოციალისტური ქალაქები ნაკლებად სეგრეგირებული იყო სოციალურ-ეკონომიკური და მეტად ჰომოგენური სივრცითი თვალსაზრისით, ვინაიდან ერთ საცხოვრებელ სახლში შეიძლებოდა ეცხოვრათ ეკონომიკური და ეთნიკური ნიშნით განსხვავებულ ადამიანებს. კაპიტალიზმმა კი გამოავლინა ტენდენცია წარმოქმნილიყო ე.წ. „ჩაკეტილი“ თემები. უფრო და უფრო მკაფიოდ იკვეთება სოციალური დიფერენციაცია საცხოვრებლისა და ცხოვრების დონის თვალსაზრისით. „სოციალური ქსელის თეორიის“ თანახმად, ადამიანები მიდრეკილნი არიან საცხოვრებლად აირჩიონ ის უბნები, რომლის მოსახლეობასაც მათი მსგავსი შემოსავალი, სოციალური სტატუსი, ეთნიკური და რელიგიური მახასიათებლები გააჩნია. კვლევის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად სოციალურ-ეკონომიკური სეგრეგაციის განმაპირობებელი ოთხი მნიშვნელოვანი ფაქტორი გამოიყო: კეთილდღეობა, საბინაო სისტემა, შემოსავლების უთანასწორობა და ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილება.

კაპიტალის დაგროვების თანამედროვე პროცესებმა შეცვალა ურბანული დასახლებისა და გამოყენების ხასიათი. ტრანსფორმაცია მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტის მოთხოვნილებებითაა განპირობებული, რათა საჭიროებათა მიხედვით მოხდეს მათი ორგანიზება ურბანულ სივრცეში და შეიქმნას გარემო, რომელიც შეესაბამება მათ ინტერესებს, გემოვნებასა და პრეფერენციებს. დროით ინტერვალში წარმოქმნილმა პროცესმა გამოიწვია დიფერენცირებული სოციალური ჯგუფების ფორმირება ეკონომიკური ნიშნით—სიმდიდრის განსხვავებული დონით. ამასთანავე, წარმოიქმნა ე.წ. „ჩაკეტილი ზონები“, რომლებიც ასევე შეიძლება იყოს ეთნიკური ნიშნით გამიჯნული, რადგან ერთი ეთნიკური წარმომავლობის ადამიანები ერთმანეთთან ახლოს ცხოვრობენ და ქმნიან კონკრეტულ უბნებს.

თბილისში ეთნიკურ ჯგუფებს წარმოადგენენ: ქართველები, აზერბაიჯანელები, ოსები, უკრაინელები, ქისტები, რუსები და ასურელები. 2014 წლის მოსახლეობის აღწერის

მიხედვით, თბილისში 15,187 აზერბაიჯანელი ცხოვრობს, რომელთაგან 82.9% ავლენს ტენდენციას ერთ რაიონში დასახლდეს, კონკრეტულად კი კრწანისის, სამგორის, საბურთალოსა და ისნის რაიონებში. XIX საუკუნეში სომხური ინტელიგენციის ცენტრი ავლაბარი იყო, მაგრამ დღეს სომხების 62% ისანი-სამგორის ტერიტორიაზე სახლობს (მაისურაძე, 2019). ჩიკაგოს სკოლის მემკვიდრეობის ბიოლოგიური ანალიზით კი ქალაქის უბნებში სივრცითი დაყოფა და განლაგება შრომის დანაწილების ბუნებრივი შედეგია, რის ფონზეც წარმოიქმნება „ჩაკეტილი თემები,“ რისი ილუსტრირებაც სწორედ აზერბაიჯანელების განსახლების არეალია.

თბილისის უბნებშიც მოსახლეობის განაწილება ძირითადად საბინაო პოლიტიკით, შრომის ბაზრის მოთხოვნებითა და საწარმოო კაპიტალის კონცენტრაციით არის განპირობებული. ამჟამად საცხოვრებლის ფასი განისაზღვრება იმ უბნების შესაბამისად, სადაც მაღალია მოთხოვნა. „დასაქმება“ ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საცხოვრებელ ადგილზე, შესაბამისად, მისი სტრუქტურის გამოკვლევა აღგვიწერს თანამედროვე ურბანულ სისტემას. დღეს „აგროკულტურული“ საქმიანობა დაკავშირებულია სოფლებსა და გარეუბნებთან, ხოლო „სერვის ინდუსტრია“ ურბანულ გარემოსთან (სალუქვაძე, 2008)

ლიტერატურის მიმოხილვა

მე-19 საუკუნის ევროპის ქალაქებში უკვე შეიმჩნეოდა უკიდურესი უთანასწორობა სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს შორის, რაც გამოწვეული იყო ინდუსტრიალიზაციისა და ურბანული მიგრაციით სოფლებიდან. ამან განაპირობა მჭიდროდ დასახლებული მუშათა კლასის რაიონების ჩამოყალიბება. დღევანდელ განვითარებად ქვეყნებში ურბანიზაცია შედარებით შეუქცევად სახეს ატარებს. გლობალიზაციამ, მსოფლიო ბაზარზე რესურსებზე უთანასწორო ხელმისაწვდომობამ და ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის კლებამ მრავალი განვითარებადი ქვეყანა მონო-სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებულად აქცია, რამაც დაარღვია ტრადიციული სოფლის ცხოვრების წესი. ურბანიზაციის კონტექსტში რემ კულჰასისათვის საბაზრო ეკონომიკა ერთგვარ რეჟიმსაც წარმოადგენდა, რომელიც არქიტექტურის ტრანსფორმაციის წინაპირობა ხდებოდა. მაშასადამე, თანამედროვე ურბანული დაგეგმარება დიდწილად სწორედ ეკონომიკური პროცესებითაა განპირობებული. თბილისის დაგეგმარების პროცესი ქალაქის რელიეფური პირობებითაც განისაზღვრებოდა, რომლის ჩამოყალიბებაში ბუნებრივმა გარემომ, განსაკუთრებულად კი მდინარე მტკვარმა, დიდი როლი ითამაშა, რაც თბილისის ურბანული განვითარების ღერძს წარმოადგენს.

გეორგ ზიმელი 1903 წელს გამოქვეყნებულ ესეში „დიდი ქალაქები და მათი სულიერი ცხოვრება“ ქალაქის ძირითად მახასიათებლად სწორედ მის პროდუქტიულობას მიიჩნევს; ქალაქი მახასიათებელია ეკონომიკური საქმიანობის მაღალი სპეციალიზირებულობით. სპეციალიზაცია წარმოქმნის შრომით დიფერენციაციას. ქალაქი როგორც ეკონომიკისა და ფულადი მეურნეობის სივრცე კალკულირებული ქცევით ხასიათდება. ინდივიდთა ინტერაქციას ზიმელი ქალაქში ახასიათებს როგორც ღირებულების გაცვლაზე

ორიენტირებულს, ნაცვლად პირადი ურთიერთობებისა, განსხვავებით ტრადიციული სოფლის წესის მქონე ტერიტორიებისაგან.

ქალაქები დღეს სწრაფად ფართოვდებიან და ვითარდებიან. ურბანიზებული ტერიტორიების ზრდას წინ უნდა უძღოდეს ცხოვრების ხარისხობრივი ცვლილებაც. ბევრ ქალაქში საზოგადოებრივი სივრცეები მნიშვნელოვნად მცირდება და უკონტროლო, სწრაფი ურბანიზაცია წარმოქმნის ისეთ ობიექტთა ნაკლებობას, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს სხვადასხვა სოციალური და ასაკობრივი ჯგუფის მცხოვრებთა საჭიროებებს. წინამდებარე კვლევაში სწორედ ნაკლებ ურბანიზებულ დიდუბესა და გლდანში აღინიშნება რეკრეაციული სივრცეებისა და, ზოგადად, კულტურული კაპიტალის დეფიციტი.

ურბანული პოპულაციის ზრდის პარალელურად იზრდება ურბანული სიღარიბე მოსახლეობაში. UN Habitat-ის პროგნოზით, მომდევნო 30 წლის განმავლობაში ურბანიზაციის მოსალოდნელ მაჩვენებელს გადააჭარბებს მსოფლიო მასშტაბით ღარიბ უბნებში მცხოვრებ ადამიანთა რიცხვი (fox,2017). სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის ზრდას აქვს ძლიერი ურბანული განზომილება. ურბანული სეგრეგაცია არის ტენდენცია, როდესაც განსხვავებულ სოციალურ თუ ეკონომიკურ ჯგუფთა განცალკევება ხდება სივრცეში, შემოსავლების დონის მიხედვით. სოციალური უთანასწორობის ზრდა პირდაპირპროპორციულია ურბანული სეგრეგაციისა. ევროსტატის მონაცემებით, ევროკავშირის ყველა ქვეყანაში ბინის ქირის ზრდამ „საბინაო დაუცველობა“ გაზარდა მოსახლეობათა შორის. ევროპის მასშტაბით, ურბანული მოსახლეობის საშუალოდ 11.8% ხარჯავს შემოსავლის 40%-ზე მეტს საცხოვრებელზე, სოფლად კი ეს მაჩვენებელი მხოლოდ 7%-ს შეადგენს (Martino, 2022). დანიაში საცხოვრებელზე მოსახლეობა შემოსავლის 57.7% ხარჯავს; ანალოგიურად მაღალი მაჩვენებლები ფიქსირდება გერმანიაში (49%), ნიდერლანდებში (45.7%) და შვედეთში (44.8%). მიუხედავად საბინაო ხარჯებისა, ჩრდილოეთ ევროპის ეს ქვეყნები სარგებლობენ სოციალური საბინაო პოლიტიკით, რაც ხელს უწყობს საბინაო დაუცველობის შემსუბუქებას. სოციალური საცხოვრებელი ნიშნავს ისეთ საცხოვრებელს, რომელიც ექსკლუზიურად დაბალშემოსავლიანი ოჯახებისთვისაა განკუთვნილი და დროებით ხასიათს ატარებს. საქართველოში სოციალური საცხოვრებლები 2008 წლამდე არ არსებობდა. იძულებით გადაადგილებული პირების კოლექტიური დასახლებების გარდა, არ არსებობდა და დღემდე არ არსებობს ღარიბი და დაუცველი ჯგუფების საბინაო პრობლემების გადაჭრის სახელმწიფო პოლიტიკა და პროგრამები, გარდა იმ ერთეული შემთხვევებისა, როდესაც ზოგი მუნიციპალიტეტი გარკვეული ხნის მანძილზე ფარავს უსახლკარო ოჯახის მიერ დაქირავებული ბინის ქირას (ნამიჭეიშვილი, 2014). 2020 წლისთვის საქართველოს მასშტაბით 69 მუნიციპალიტეტიდან მხოლოდ 12-ს აქვს დამტკიცებული ტერიტორიაზე ფიზიკური პირის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით უზრუნველყოფის მეთოდოლოგია, ხოლო სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაზაში მხოლოდ სამი მუნიციპალიტეტის მონაცემებია: თბილისი, სამტრედია, სიღნაღი. ამის გათვალისწინებით, უსახლკაროთა ზუსტი ციფრის დადგენა საქართველოს მასშტაბით შეუძლებელია, მაშინ როდესაც ადგილობრივ თვითმმართველობის

ორგანოებში რეგისტრირებულ პირთა ერთიანი რეესტრის წარმოება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვალდებულებაა (სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2020). სოციალური საცხოვრებლის ნაკლებობა კი მნიშვნელოვნად მოქმედებს ურბანული სეგრეგაციისა და საბინაო დაუცველობის დინამიკაზე.

საქართველოში საყოველთაო აღწერა ბოლოს 2014 წელს ჩატარდა, რომლის შედეგებით ანალიზი 2002 წლის საყოველთაო აღწერასთან ცხადყოფს, რომ მასიურად ხდება რეგიონებიდან მოსახლეობის მიგრირება ქალაქში. ამ მხრივ დაწინაურდა კახეთი, იმერეთი, ქვემო ქართლი და მცხეთა-მთიანეთი. პარალელურად კი მცირდება უმუშევართა რიცხვი ამავე ტერიტორიებზე, მაგალითად, კახეთში 7%-ით შემცირდა უმუშევართა რიცხვი 2011 წელთან შედარებით. იმერეთში ფიქსირდება ასევე 2% კლება, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 8%, თუმცა პარალელურად იზრდება უმუშევართა რიცხვი თბილისში.

შინამეურნეობაში უმუშევარი წევრების რაოდენობის ზრდასთან ერთად მკვეთრად იზრდება შინამეურნეობის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მოხვედრის რისკი. აქედან გამომდინარე, დასაქმება შეიძლება განხილულ იქნას, როგორც სიღარიბიდან თავის დაღწევის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ 2014 წლისათვის მოიმატა სხვა რეგიონებიდან მოსახლეობის შიდა მიგრაციის რიცხვმა თბილისის მიმართულებით, რის ფონზეც რეგიონებში გაიზარდა ეკონომიკურად არააქტიურ მოსახლეობათა რიცხვი. ამასთანავე, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, თვითდასაქმებული არის ადამიანი, რომელიც „საქმიანობს ოჯახური შემოსავლის მიღების მიზნით, აგრეთვე ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე პირი.“ ამაში შედიან ის ადამიანები, რომლებიც ნებაყოფლობით ამუშავებენ თავიანთი ოჯახის მიწას. ამის შედეგია ის მონაცემები, რომლის მიხედვითაც უმუშევრობის დონე რეგიონებში გაცილებით დაბალია, ვიდრე თბილისში, რაც ბუნებრივია რეალურ სურათს არ ქმნის. პოტენციური სამუშაო ძალა ვერ ჩაითვლება სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულად. როცა ინტერვიუებიც ცხადყოფს, რომ რეგიონიდან მიგრირების მიზეზი სწორედ უმუშევრობა იყო, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახები სოფლის მეურნეობაში იყვნენ ჩართულნი. ურბანული მიგრაციის მიზეზად არა მხოლოდ უმუშევრობა, არამედ ახალ თაობაში განათლების დონის ზრდაც უნდა მივიჩნიოთ, რომელნიც სოფლის მეურნეობის სექტორს ფარგლებს გარეთ ცდილობენ დასაქმებას. კერძოდ, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2002 წლისა და 2014 წლის მოსახლეობის აღწერას თუ დავეყრდნობით, 28.57%-ით გაიზარდა უმაღლესი განათლების მქონე პირთა რაოდენობა, კახეთში 1.13%-ით, ხოლო იმერეთში 0.47%. მიგრაციის ამ ტემპის და მიზეზების შესაბამისად სოფელში შობადობის დონე იკლებს. წარსულში დემოგრაფიული თვალსაზრისით, სოფლად შობადობის დონე უფრო მაღალი იყო და ხშირ შემთხვევაში ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა სწორედ ამის ხარჯზე იზრდებოდა. ვინაიდან მიგრაციულ პროცესებში ძირითადად ახალგაზრდობა მონაწილეობს, რომელთათვისაც დამახასიათებელია ქორწინება და შობადობა, ისინი კი ქალაქში ჩადიან, შობადობა უკვე ქალაქში მატულობს.

თეორიული ჩარჩო

სეგრეგაციის მიზეზების ახსნა მოხდება სხვადასხვა რაიონებში ურბანიზაციის განსხვავებული ხარისხის შესაბამისად. კერძოდ, ურთიერთდამოკიდებულების სეგრეგაციის თეორიის მიხედვით, სეგრეგაციასთან ბრძოლაში გადამწყვეტ როლს თამაშობს სივრცითი ურთიერთობა განცალკევებულ ტერიტორიებსა და საჯარო სივრცეების ხელმისაწვდომობას შორის. საჯარო დაწესებულებებსა და საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობა, როგორცაა განათლება, ჯანდაცვა და ტრანსპორტი, მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს უკონტროლო ურბანული ფრაგმენტაციის წინააღმდეგ. ამ სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სასიცოცხლო ნაბიჯია უფრო სამართლიანი ქალაქის ხელშეწყობისკენ. (ტოგონიძე, 2023)

სუბურბანიზაციის ტენდენციურობისა და ცალკეული უბნების პრესტიჟულ რაიონებად ჩამოყალიბების მიზეზები ახსნილი იქნება ჩიკაგოს სკოლის მემკვიდრეობის ბიოლოგიური ანალიზით, რომელიც განიხილავს ქალაქის უბნებს „ბუნებრივ ადგილებად“, რომელთა სივრცითი დაყოფა და განლაგება შრომის განაწილების შედეგია. თბილისის უბნებში მოსახლეობის განაწილება, ძირითადად, საბინაო მდგომარეობით, შრომის ბაზრის მოთხოვნებითა და საწარმოო კაპიტალის კონცენტრაციით არის განპირობებული. საბინაო მშენებლობა მულტიპლიკატურ ეფექტს ქმნის ეკონომიკაში, რაც იწვევს მრავალი დაკავშირებული ინდუსტრიის განვითარებას.

ამჟამად საცხოვრებლის ფასი განისაზღვრება იმ უბნების შესაბამისად, სადაც მაღალია მოთხოვნა. „დასაქმება“ ასევე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საცხოვრებელ ადგილს, რადენობრივი კვლევის შედეგად მოპოვებული ინფორმაციით კი აღნიშნული თეორიული ჩარჩო იდეალურად ერგება და ხსნის ვაკის, გლდანის და დიდუბის რაიონების მუშათა სივრცითი განაწილების მიზეზებს.

აგროკულტურული საქმიანობიდან „სერვის ინდუსტრიაში“ ინტეგრაციისა და შიდა მიგრაციის ახსნა მოხდება ე.წ. «მიზიდვა-განზიდვის» (Pull-Push) თეორიული ხაზით.

შრომითი მიგრაციის პროცესში ერთგვარ მარეგულირებელ ფუნქციას ასრულებენ „push & pull“ ფაქტორები:

- Push-ის ფაქტორები არის გარემოებები ან პირობები ვინმეს ამჟამინდელ მდებარეობაში, რომელიც ხელს უწყობს ან აიძულებს მათ დატოვონ ქვეყანა.
- Pull ფაქტორები არის სხვადასხვა მდებარეობის დადებითი ასპექტები, რომლებიც იზიდავს მიგრანტებს.

კვლევის მეთოდოლოგია

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ. საკვლევი პოპულაცია შედგებოდა ვაკის, გლდანისა და დიდუბის ტერიტორიაზე

დასაქმებული პირებისგან. შერჩევითი ერთეული განისაზღვრა 30 რესპონდენტით (თითო რაიონიდან 10 რესპონდენტი: 5 ქალი და 5 კაცი). გამოყენებულ იქნა მიზნობრივი, არაალბათური შერჩევა. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, ანკეტირებული ინტერვიუს გამოყენებით, 150 რესპონდენტი იქნა გამოკითხული ვაკის, გლდანისა და დიდუბის მაცხოვრებლებიდან, რამაც რესპონდენტთა სოციალურ-ეკონომიკური კონტრასტები სამივე რაიონიდან უკეთ გამოკვეთა.

სამი რაიონის მასშტაბით მოსახლეობის სოციალურ-პროფესიული სტატუსის მიხედვით სეგრეგაციის დასადგენად კვლევაში გამოყენებული იქნება სეგრეგაციის ინდექსი (*Index of Dissimilarity*), რომელშიც ნულოვანი ქულა (0%) ასახავს სრულად ინტეგრირებულ გარემოს, ხოლო მაქსიმალური ქულა (100%) - სრულ სეგრეგაციას. კვლევაში ვაკე მიეკუთვნება ქალაქს, როგორც სამეცნიერო ცენტრის კატეგორიას, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბდა. სამივე რაიონის უბნებში ფუნქციები განსხვავებულადაა განაწილებული, რის საფუძველზეც შეირჩა სამი რაიონი. დიდუბე და გლდანი, როგორც ნაკლებ ურბანიზებული რაიონები, შეირჩნენ მათი ფუნქციებიდან გამომდინარე, რაც კვლევის დასაწყისში მხოლოდ ვარაუდის დონეზე იყო გამოხატული. თუმცა, კვლევის შედეგების მიხედვით, მშრომელთა შიდა მიგრაცია ბუნებრივი მოვლენა არ არის. იგი ეკონომიკური მიზეზებით არის მოტივირებული, ხოლო ქალაქი, როგორც სოციალური ერთეულის კატეგორია, ეფუძნება სოციალურ-ეკონომიკური ნიშნით განსხვავებული ჯგუფების ინტეგრაციას. დიდუბე „მცოცავი ურბანიზაციის“ ფენომენის პროდუქტია. თბილისის ეს რაიონი წარმოადგენს გარდამავალ ზონას ვაკესა და გლდანს შორის; თუ გლდანი მეტი ეკონომიკური მობილურობით ხასიათდება და საცხოვრებელიც ხელმისაწვდომია, ვაკესთან შედარებით, დიდუბეში წარმოდგენილია არა ვაკის იდენტური კლასი, რომელიც მემკვიდრეობითი კაპიტალითაა ჩამოყალიბებული, არამედ დიდუბეში ახლად ფორმირებული კლასი იკვეთება. თუმცა, როგორც რაიონი, მასში ეკონომიკურად დუალისტური კლასი ცხოვრობს. დიდუბეში განვითარებულია სატრანსპორტო ქსელი, რაც „მშრომელებს“ ოპტიმალური გადაადგილების შესაძლებლობას აძლევს თბილისის მასშტაბით ნებისმიერ რაიონში; პარალელურად, ბინები ხელმისაწვდომ ფასშია. მუშათა მობილობა კი მშრომელთა საკმარის კვალიფიციურ კადრთა რაოდენობას ქმნის ნებისმიერი კომერციული ობიექტისათვის.

კვლევის მიზანია დედაქალაქში განსხვავებული სოციალურ-პროფესიული ჯგუფების ტერიტორიულ კონცენტრაციათა განაწილების ძირითადი ტენდენციებისა და მათი ხელშემწყობი ფაქტორების იდენტიფიცირება.

კვლევის ამოცანებია:

- გამოავლინოს ძირითადი მოტივები, რაც მოსახლეობას უბიძგებს აგროკულტურული საქმიანობიდან „სერვის ინდუსტრიაში“ ინტეგრაციისაკენ თბილისის მასშტაბით.
- გამოვლენილ იქნას ვაკის, გლდანისა და დიდუბის მუშათა თბილისის ურბანულ გარემოში ინტეგრაციის მიზეზები.

- დაადგინოს, თუ როგორ ვლინდება ურბანულ სამუშაო სივრცეში სოციალურ-პროფესიული სეგრეგაცია და რა კავშირშია ეს უკანასკნელი განათლების დონესთან.

საკვლევი კითხვები:

1. რა ფაქტორები ახდენს გავლენას მოსახლეობის სივრცით განაწილებაზე?
2. რატომ ყალიბდება ცალკეული უბნები პრესტიჟულ საცხოვრებელ რაიონებად?
3. რა კავშირია მოსახლეობის სოციალურ-პროფესიულ სტატუსსა და განათლების დონეს შორის?
4. როგორია სოციალურ-პროფესიული სეგრეგაციის დონე გლდანის, ვაკის და დიდუბის რაიონებში?

კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ჰიპოთეზა შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: არაერთგვაროვანი ურბანიზაცია და უთანასწორობა (ქალაქის ნაკლებად მიმზიდველ სამეზობლოებში კონცენტრირებულ სიღარიბესთან ერთად) არის ქალაქის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური სეგრეგაციის ძირეული წარმომქმნელი ფაქტორი.

მიგნებები:

ქალაქში მიგრაციის მთავარი ხელშემწყობი ფაქტორები

რესპონდენტთა შორის გამოვლენილი მიზეზების შეჯამებისას დადასტურდა უკვე ცნობილი ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პირები ძალიან დაბალ შემოსავალს იღებენ. ამასთანავე, 30 რესპონდენტიდან 17 საკუთარი მიგრაციის მიზეზად შვილებისთვის რელევანტური განათლების მიცემის აუცილებლობას მიიჩნევდა. საგანმანათლებლო დაწესებულებების კონცენტრაცია დედაქალაქში, სოფლებსა და რეგიონებში მცხოვრები ოჯახებისთვის ერთადერთ გზად ისახება, მოამზადონ ახალგაზრდები კონკურენტული შრომის ბაზრისთვის. აქედან გამომდინარე, გამოიკვეთა სტუდენტების თბილისში გადანაწილების გეოგრაფიული პრინციპი.

რურალური სივრციდან ურბანულ სივრცეში ინტეგრაცია გარკვეულ ბარიერებთანაც იყო დაკავშირებული. 30 რესპონდენტიდან 15 ქალი იყო, ხოლო 15 კაცი. როგორც აღმოჩნდა, ოჯახს პირველები კაცები ტოვებენ. ძირითადად, რესპონდენტები დროებით ნათესავთან ცხოვრობენ, თუმცა დაფიქსირდა შემთხვევაც, როცა მამა თბილისის რაიონში ბინას იმავე სოფლიდან მიგრირებულ კაცთან ერთად ქირაობდა. Push and pull თეორიულ ჩარჩოში მიკრო დონეზე ამის ახსნა საქართველოში შიდა მიგრაციის განსაკუთრებული კავშირით აიხსნება საზოგადოებრივი კაპიტალის თეორიასთან, რომლის მიხედვითაც, შიდა მიგრაციისას ინდივიდები ავლენენ ტენდენციას გადავიდნენ საცხოვრებლად ტერიტორიაზე, სადაც მათმა სოციალურმა კაპიტალმა უკვე შექმნა ბაზარზე დამკვიდრების მარტივი სქემა და საჭირო ინფრასტრუქტურა. ამ შემთხვევაში, საქართველოს რეგიონებში ოჯახური მიგრაცია იყო ის მოდელი, რომელიც ავითარებდა საზოგადოებრივი კაპიტალის

თეორიას. ოჯახის ერთი წევრი (მამა) ცდილობს ოჯახისათვის შექმნას გარემო, რომელშიც მის ოჯახს ინტეგრაცია აღარ გაუჭირდება.

დიდუბის, ვაკისა და გლდანის მაგალითებზე ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ჩამოსულ სტუდენტთა ოჯახების ფინანსური მდგომარეობა და მათი კავშირები ქალაქთან განსაზღვრავს ურბანულ სივრცეში ახალგაზრდების გადანაწილებას. ტერიტორიებზე, სადაც საგანმანათლებლო ცენტრებთან ახლოს ცხოვრობენ სტუდენტები, გამოიკვეთა ოჯახის მაღალი ფინანსური მხარდაჭერა, კონკრეტულად ვაკის რაიონში. საბინაო მდგომარეობის განხილვისას, ოჯახები, რომლებსაც რთული ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად სტუდენტებისთვის საცხოვრებლის ქირაობა უწევთ, ძირითადად გლდანისა და დიდუბის გარეუბნებს ირჩევენ. ამ შემთხვევაში, ურბანულ სივრცეში განაწილების მთავარი ფაქტორი საგანმანათლებლო სექტორთან სიახლოვის გარდა, ეკონომიკური მდგომარეობა და დასაქმების არეალიცაა. ეს გვიჩვენებს დედაქალაქში ურბანიზაციის არაერთგვაროვნებას. თბილისში ამ კუთხით იყოფა ეკონომიკურად სუსტი და ძლიერი უბნები. განათლების ხარისხის გათვალისწინებით, სამუშაო ძალა გადანაწილებულია სხვადასხვა სექტორში, ხოლო შრომის ბაზრის არსებული ტენდენციები ადგენენ სოციალური კაპიტალის დაგროვებისა და სიმჭიდროვის უბნებს.

ურბანული კონტრასტები: ერთი ქალაქი და სამი სამყარო

იმისათვის, რომ 3 რაიონის მასშტაბით პროფესიული სეგრეგაციის ილუსტრირება მოგვხდინა, ვაკის, გლდანისა და დიდუბის რაიონებში 5 ძირითადი სექტორის კლასიფიცირება მოვახდინეთ, ესენია:

GA-საგანმანათლებლო სექტორი.


GB-ჯანდაცვის სექტორი.

GC-საფინანსო სექტორი.

GD-საჯარო ადმინისტრირებისა და სოციალური მომსახურების სერვისი.

GF-პარკები და რეკრეაციული სივრცეები.

რის შედეგადაც, index of dissimilarity-ს (სტატისტიკური საზომი, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება სოციალურ კვლევებში, რათა განვსაზღვროთ სხვადასხვა ჯგუფების სეგრეგაციის ან არათანაბარი განაწილების ხარისხი) შესაბამისად, მოვახდინეთ ინდივიდუალურად რაიონებში იმის დადგენა, თუ რომელი სექტორებია დომინანტური. რის შედეგადაც, გამოვლინდა უმნიშვნელოვანეს სექტორთა განაწილების დისბალანსი (იხ. გრაფა 1#).



გრაფა #1 (წყარო: საკუთარი)

საჯარო დაწესებულებებსა და საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობა, რაც უკონტროლო ურბანული ფრაგმენტაციის პრევენციას ახდენს, კონცენტრირებულია ვაკის ტერიტორიაზე. მნიშვნელოვანია, ყურადღება მივაქციოთ საგანმანათლებლო სექტორს და მის გადანაწილებას ქალაქში, ვინაიდან წარმოადგენს ურბანიზაციის წამახალისებელ ფაქტორს. აქედან გამომდინარე, დადგინდა, რომ საგანმანათლებლო სექტორების მხრივ დაწინაურდა გლდანი, თუმცა აღსანიშნავია, რომ უმაღლესი სასწავლებლები უნივერსიტეტების სახით ვაკის ტერიტორიაზე იყო წარმოდგენილი. რესპონდენტებისთვის კი შიდა მიგრაციის მთავარ მოტივს სწორედ უმაღლესი განათლება წარმოადგენდა. პარკებისა და რეკრეაციული სივრცეების მაჩვენებელი ვაკეში 15%-ს აღწევს, მაშინ როცა დიდუბეში და გლდანში მაჩვენებელი 8%-ს შეადგენს. აუცილებელია მოთხოვნაზე ორიენტირებული მიდგომა სერვისების განვითარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საქმეში, წინააღმდეგ შემთხვევაში, სოციალურ-ეკონომიკური ნიშნით ინკლუზიური სოციუმის ჩამოყალიბება ვერ მოხდება. თბილისში მოსახლეობის დიფერენცირება ხდება სხვადასხვა მატერიალური სიმდიდრის მქონე სოციალურ ჯგუფებად, მაგრამ ნებისმიერ ჯგუფს აერთიანებს საერთო მოტივი, რაც საცხოვრებლისა და ეკოლოგიურად სუფთა გარემოს გულისხმობს. მათ აქვთ საკუთარი იდეები საცხოვრებლის კომფორტისა და მიმდებარე გარემოს შესახებ. იდეალური საცხოვრებელი არეალი ურბანული გარემოა, სადაც საცხოვრებელი სამრეწველო საწარმოებისგან შორს იქნება, იარსებებს მწვანე ზონა და კულტურული კაპიტალი.

შესაბამისად, ერთ ურბანულ გარემოში მოსახლეობის კონცენტრირება არცაა გასაკვირი. ქალაქის ცენტრში თავმოყრილი საგანმანათლებლო თუ კულტურული კაპიტალი ყურადღებას იქცევს ქალაქის მოსახლეობისგან, ასევე ტურისტებისგან, რომლებსაც

ადგილობრივი ღირსშესანიშნაობებისა თუ სხვა გასართობი სივრცეების მონახულებას სურთ. სწორედ ქალაქის ამ ცენტრებს ანიჭებენ უპირატესობას. აქედან გამომდინარე, მეტი ყურადღება ექცევა აღნიშნული უბნების — ვაკის, საბურთალოს და ა.შ. — მწვანე საფარის განაშენიანებას. პარკები და რეკრეაციული სივრცეები ხშირია სწორედ ამ მოცემულობის გამო. მეორე მხრივ, ურბანიზაცია ქაოტური და შედარებით არაკონტროლირებადია გარეუბნებში, მაგალითად, გლდანში. აქ მწვანე საფარის განაშენიანება და სხვადასხვა გასართობი სივრცეები მართალია გვხვდება, თუმცა არა იმ სიხშირითა და სიდიდით, როგორც ცენტრებშია. ყურადღება აკლდება ასევე არსებული სივრცეების მოვლა-პატრონობასაც.

შემდეგ ეტაპზე შედარებითი ანალიზი მოხდა 3 რაიონს შორის, რამაც ცხადყო, რომ გლდანსა და ვაკეს შორის სეგრეგაციის ხარისხი 35.27%-ია, ვაკესა და დიდუბეს შორის 33.23%, ხოლო გლდანსა და დიდუბეს შორის 19.1%. შესაბამისად, კვლევის დასაწყისში არსებული ვარაუდი იმის შესახებ, რომ ვაკის, როგორც კულტურული და სამრეწველო კაპიტალით კონცენტრირებული ტერიტორიის, ურბანული განვითარების ხარისხი აღემატება დიდუბისა და გლდანის ტერიტორიას, მართლდება, რის ფონზეც „მუშათა კლასის“ თბილისის შიდა მიგრაციული ნაკადი სწორედ ვაკის ტერიტორიაზე მიემართება, რაზეც მშრომელის განათლების ხარისხი პირდაპირ გავლენას ახდენს.


სამივე რაიონს შორის სეგრეგაციის საერთო დონე 19.53%-ს წარმოადგენდა. რეკრეაციული, სატრანსპორტო, საზოგადოებრივი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ლანდშაფტის ზონები მძიმე მდგომარეობაშია, რისი განმაპირობებელი ფაქტორიც ყველაფრის ცენტრში თავმოყრაა. ცენტრალიზაცია იწვევს არაპროპორციულ კავშირს პერიფერიასა და ცენტრს შორის. არაა ჩამოყალიბებული კლასტერები, რომლებიც ქალაქს განტვირთავს. გლობალისტური მიდგომა, რომელიც არ ითვალისწინებს ადგილობრივ თავისებურებებს, თუნდაც კულტურულს ან ეკონომიურს, ქალაქებში იწვევს გარკვეულ რღვევას. ქალაქის მიზიდულობის ძალასა და მის სიდიდეს შორის პირდაპირი კავშირი არსებობს. თბილისში აგლომერაციის არარსებობის ფონზე კი ეს შიდამიგრაციული ტალღის ცენტრისკენულ ვექტორს ქმნის. პერიფერიასა და ცენტრს შორის ურთიერთობა ვერ დაბალანსდება უკონტროლო ურბანიზაციის ფონზე. (ტოგონიძე, 2023)

სეგრეგაციის ხარისხი სამი რაიონის მასშტაბით რესპონდენტთა საბოლოო შედეგებზეც აისახა. კერძოდ, დიდუბის კვლევისას დადგინდა, რომ ბაკალავრის, მაგისტრის ან დოქტორის ხარისხის მქონე ადამიანები სამსახურებრივ საქმიანობას ძირითადად ასრულებენ სამ ადგილმდებარეობაზე: ვაკის (38.9%), საბურთალოს (27.8%) და დიდუბის (16.7%) ტერიტორიებზე, რაც ლოგიკურია იმის გათვალისწინებით, რომ ვაკის ტერიტორიაზე მშრომელთა რიცხვისათვის უმაღლესი განათლება სახასიათოა, ხოლო თავად ვაკის ტერიტორიაზე კონცენტრირებული ბიზნეს სექტორები კვალიფიციურ კადრებს მოითხოვენ. დიდუბის ტერიტორიაზე მშრომელები ჩართულნი არიან განათლების, ჯანდაცვის ან სამომხმარებლო სექტორებში. ეს ყოველივე ცხადყოფს, რომ კვალიფიციური კადრები, რესურსებისა და ინდუსტრიები არათანაბრადაა

განაწილებული, რაც ურბანული სოციალ-ეკონომიკური სეგრეგაციითა განპირობებული. რაიონებს შორის მშრომელთა შიდა მიგრაცია შესაძლებელია ბუნებრივ მოვლენად აღიქმებოდეს, რომლის მიღმა ეკონომიკური მიზეზები ნაკლებ პრობლემურ საკითხად აღიქმებოდეს, მაგრამ ქალაქის, როგორც სოციალური ერთეულის კატეგორია, ფუნქციონირებს სწორედ მოსახლეობაში სოციალურად განსხვავებული ჯგუფების ინტეგრირებით. იზოლირებულ ჯგუფთა ინტეგრაციის პროცესი ხდება სხვადასხვა დონეზე. პირობითად, ვაკე კვლევაში მიეკუთვნება ქალაქის, როგორც სამეცნიერო ცენტრის კატეგორიას, მაგრამ ეს კატეგორია ისტორიულად ჩამოყალიბებულია და ქალაქის უბნებს სხვადასხვა ფუნქცია შეიძლება ჰქონდეთ. შრომითი შიდა მიგრაციული პროცესი სოციოკულტურულ დონეზე ურბანიზაციის უნარს გულისხმობს, სოციალური და კულტურული საზღვრების მიუხედავად მოსახლეობის სხვადასხვა ფენა დააკავშიროს შრომითი ურთიერთობით. სწორედ ამითაა საინტერესო სოციალ-პროფესიულ ჯგუფთა სივრცითი განაწილება და მათი შიდა მიგრაციული ნაკადი.

დიდუბეში საშუალო სკოლისა (14%) და კოლეჯის (10%) განათლების მქონე მშრომელები დასაქმებულნი არიან თავად დიდუბის ტერიტორიაზე (33%). კერძოდ, რესპონდენტთა 10.6% სამომხმარებლო სექტორშია დასაქმებული. ეს დიდწილად განპირობებულია დიდუბეში საკუთარი ბინის მქონე ადამიანების მაღალი რიცხვით (47.9%). ვაკესა და გლდანს შორის მკვეთრი კონტრასტი გამოვლინდება მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით. კერძოდ, გლდანის რესპონდენტთა 24%-ის შეფასებით, ისინი „მძიმე“ ეკონომიკურ მდგომარეობაში ცხოვრობენ, ხოლო ვაკეში აღნიშნული მაჩვენებელი 12%-ს აღწევს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გლდანის მოსახლეობის მხოლოდ 14.3%-ს აქვს 1000-დან 2000-ლარამდე ხელფასი, მაშინ როცა ვაკეში ეს მაჩვენებელი 24%-ს აღწევს. გლდანის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება „მძიმედ“ აიხსნება მათი საბინაო მდგომარეობითაც. კერძოდ, ვაკის რესპონდენტთა 71% საკუთარ მფლობელობაში არსებულ ბინაში ცხოვრობდა, მაშინ, როცა გლდანში რესპონდენტთა 29.8% ქირით ცხოვრობდა, დიდუბეში კი 33.3%, ხოლო ვაკეში ქირით მხოლოდ 14.3% ცხოვრობდა. გლდანში საკუთარ მფლობელობაში არსებულ ბინას 61.7% ფლობდა, რაც ურბანიზაციისთვის დამახასიათებელი ტენდენციაა (იხ. გრაფა #2). ევროპაში ურბანული მოსახლეობის საშუალოდ 11.8% ხარჯავს შემოსავლის 40%-ზე მეტს საცხოვრებელზე, სოფლად კი ეს მაჩვენებელი მხოლოდ 7%-ს შეადგენს. აღნიშნული მონაცემები აიხსნება სოფლიდან ქალაქამდე მიგრაციის პროცესითა და საცხოვრებელ ადგილზე ხელმისაწვდომობით, რის პარალელურადაც წარმოიქმნება და ვითარდება ახალი საცხოვრებელი უბნები საშუალო და დაბალი შემოსავლების მქონე ჯგუფების მიერ. გლდანისა და დიდუბის ტერიტორიაზე გაქირავებული ბინების მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს ბევრად მოძრავ მოსახლეობაზე და „მცოცავ ურბანიზაციაზე“ (კვლევაში ტერმინი საცხოვრებელი ტერიტორიის ინტეგრაციაზე მიუთითებს კომერციულ ზონებთან), რაც გამოწვეულია დასაქმების შესაძლებლობითა და ეკონომიკური საჭიროებებით. ვაკეში სახლის მფლობელთა მაღალი მაჩვენებელი მემკვიდრეობითი/გრძელვადიანი სიმდიდრის დაგროვების პროდუქტია, ამიტომაც კვლევაში ვაკე გაანალიზებული ისტორიულად ჩამოყალიბებულ სამეცნიერო ცენტრად. დიდუბე კომერციული ზონაა, გლდანთან შედარებით დიდუბეში უფრო

კონცენტრირებულია სხვადასხვა კომერციული ობიექტები, სატრანსპორტო ქსელიც ბევრად მოქნილია, რისი გათვალისწინებითაც დროებითი მაცხოვრებლებისთვის საკმაოდ ოპტიმალურ საცხოვრებელ ტერიტორიას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, შიდა მიგრაციის პროცესში უამრავი მშრომელი სწორედ ამ ტერიტორიაზე სახლდება. „მცოცავი ურბანიზაცია“ დიდუბის კონტექსტში სწორედ საცხოვრებელი უბნების ეტაპობრივ ინტეგრაციას ითვალისწინებს კომერციულ „ჰაბებთან“. დიდუბე, როგორც სატრანსპორტო ქსელის ცენტრალური ადგილი, საცხოვრებლად ბევრად მოთხოვნადი ხდება გლდანთან შედარებით, ვინაიდან ეკონომიკურ ცენტრებთან უფრო ახლოსაა.



გრაფა #2 (წყარო: საკუთარი)

ამ მონაცემებიდან ნათლად ჩანს ურბანიზაციის ეკონომიკური ფაქტორიც. მნიშვნელოვანი კაპიტალისგან მომორებით მცხოვრები ადამიანები არიან რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში, თუმცა, თუ ისინი დამაკმაყოფილებელ შრომაში არიან ჩართულნი, ეს ძირითადად მოიცავს იმ ცენტრებს, სადაც ეკონომიკურად და პრესტიჟულად მნიშვნელოვანი სფეროებია წარმოდგენილი: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სკოლები, ბანკები და ა.შ. საბინაო მდგომარეობაც ამ ყოფის ანარეკლია. თბილისის მოქალაქეებს ნაკლებად პრესტიჟულ უბნებში ურჩევნიათ ცხოვრება, თუ ეს ნაკლებ ქირას და საცხოვრებელ ხარჯებს მოიაზრებს. აქედან გამომდინარე, ქალაქის ცენტრალურ უბნებში, ძირითადად, საკუთარი ბინის მფლობელები ცხოვრობენ. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ქირის მაღალ ფასებს ცოტა თუ გადაიხდის ცენტრალურ უბნებში ცხოვრებისთვის. საბოლოოდ, ასეთ ტერიტორიებზე უკვე დიდი დროით მცხოვრები ადამიანები რჩებიან, ხოლო სოფლებიდან თუ გარეუბნებიდან ჩამოსული მოსახლეობა საცხოვრებლად ნაკლებად ინტეგრირდება.

ყველაზე საინტერესო თბილისის შიდა მიგრაცია აღმოჩნდა, რამაც კვლავ გამოავლინა ვაკისთვის სახასიათო საგანმანათლებლო, საჯარო სექტორისა და, ზოგადად, აკადემიური სფეროს კონცენტრაცია. გლდანის რესპონდენტთა ის ნაწილი, რომელსაც ბაკალავრის, მაგისტრის ან დოქტორის ხარისხი ჰქონდა, გლდანის ტერიტორიას ტოვებდა, რაც აიხსნებოდა მაღალი კვალიფიკაციის მქონე დასაქმების სფეროს ნაკლებობით გლდანის ტერიტორიაზე. გლდანის რესპონდენტთა 14.8% ვაკის ტერიტორიაზე იყო დასაქმებული, 29.6% კი მთაწმინდაზე. რაც შეეხება თავად ვაკეს, რესპონდენტთა 44.2%, რომელსაც უმაღლესი განათლება ჰქონდა, კვლავ ვაკის ტერიტორიაზე იყო დასაქმებული, ამასთან, 21.7% - სწორედ საგანმანათლებლო სექტორში, ხოლო გლდანის მოსახლეობის 34% სამომხმარებლო სექტორში იყო დასაქმებული. ეს იმითაც აიხსნება, რომ ვაკის მოსახლეობა, რომელსაც დოქტორის ხარისხი ჰქონდა, ბევრად დომინირებდა გლდანზე. დიდუბის უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობა ვაკის ელიტარულ აკადემიურ და პროფესიულ გარემოს ემსახურება, მიუხედავად სამომხმარებლო სექტორში დასაქმებისა. დიდუბის მოსახლეობის 47.9% საკუთარ მფლობელობაში არსებულ ბინაში ცხოვრობს, რაც გრძელვადიან სტაბილურ შემოსავალზე მიუთითებს. ეს ცხადყოფს, რომ საბინაო პირობებზე დაყრდნობითა და ადგილობრივი ეკონომიკური ზონის გათვალისწინებით ურბანული რაიონები ავითარებენ დამახასიათებელ შრომით ბაზრებს. სხვადასხვა რაიონები სპეციალიზებულნი არიან სხვადასხვა სფეროში; მაგალითად, დიდუბის რესპონდენტთა 38.9% ვაკეშია დასაქმებული, თავად დიდუბეში კი მხოლოდ 16.7%. კვალიფიკაციის ამალეობასთან ერთად იცვლება დასაქმების ტერიტორია დიდუბეში, ისევე, როგორც გლდანში. მაშასადამე, ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ქალაქის ნაკლებ მიმზიდველ სამეზობლოებში კონცენტრირებული სიღარიბე არის ქალაქის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური სეგრეგაციისა და უთანასწორობის გამომწვევი ფაქტორი, მართლდება. რესპონდენტები კი, მათი განათლებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად, გადანაწილდებოდნენ რაიონების მასშტაბით.

უთანასწორობა სოციალური და ფულადი შემოსავლების კუთხით მნიშვნელოვანი პრობლემაა სამივე რაიონის მასშტაბით, თუმცა განსაკუთრებული კომპონენტი უთანასწორობის ანალიზისას სოციალურ-ეკონომიკური და საცხოვრებელი სეგრეგაციის გაზრდილი მაჩვენებელია. ვაკეში ქირით მხოლოდ 14.3% ცხოვრობდა, რაც, რაღა თქმა უნდა, რესპონდენტების ეკონომიკური მდგომარეობის აღქმაზე ახდენდა გავლენას. ვინაიდან დიდუბეში 33.3% ბინას ქირაობდა, რესპონდენტთა 16% „მძიმე“ ეკონომიკურ მდგომარეობაში ცხოვრობდა, ხოლო გლდანში, სადაც ყველაზე დაბალი იყო ხელფასი და არც საკუთარი საცხოვრებელი გააჩნდათ, „მძიმე“ ეკონომიკურ მდგომარეობაში 24.5% ცხოვრობდა. აღნიშნული ლოგიკურ კავშირშია განათლების ხარისხთანაც. გლდანში რესპონდენტთა 36.2%-ს საშუალო განათლება ჰქონდა, შესაბამისად, არცაა გასაკვირი, რომ 34% სამომხმარებლო სექტორში მუშაობდა, სადაც ანაზღაურება საკმაოდ დაბალია.

მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ სამომხმარებლო სექტორის განვითარება და სხვადასხვა სამუშაო სფეროები ერთადერთ ან ზოგისთვის მიმზიდველ არჩევნად რჩება. ვაკის და სხვა ცენტრალური უბნებისთვის ღირსეულ ანაზღაურებაზე კონცენტრირება ხშირია, შესაბამისად, აქ უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები უფრო საქმდებიან,

ხოლო საშუალო სკოლებისა და კოლეჯის განათლების მქონე მოსახლეობა ცენტრალურ უბნებში მაღალანაზღაურებად სამუშაოებზე ვეღარ საქმდება. გამოსავალი სამომხმარებლო სივრცეში გადასვლა და იქ თავის დამკვიდრებაა. ეს სფეროები კი, ძირითადად, გლდანსა და დიდუბეშია განვითარებული. სწორედ ამიტომ, აქ უფრო მეტი კოლეჯი გვხვდება.

აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივი კვლევის მონაცემთა მიხედვით, თვითდასაქმებულთა რიცხვმა გლდანში ბევრად გადააჭარბა ვაკის ტერიტორიას, რაც, ძირითადად, სამომხმარებლო სექტორში დასაქმებით გამოიხატებოდა, ვაკის რაიონის მოსახლეობა კი უმეტესად საფინანსო და სხვა სექტორში იყო დასაქმებული. თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ 3 გარევაჭრობით დაკავებული რესპონდენტი გლდანის ტერიტორიიდან, თავს თვითდასაქმებულს უწოდებდა. ეს აიხსნება გარეუბნების გეოგრაფიული მდებარეობით და მისი ურბანიზაციის დონითაც.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ ურბანიზაცია თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში პროგრესის მაჩვენებელია, ასევე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ერთი მხრივ, როგორც პოზიტიური ტენდენცია, დაკავშირებულია ეკონომიკურ ზრდასთან და განვითარებასთან, მეორე მხრივ, ურბანიზაციის მაღალმა დონემ შეიძლება გააძლიეროს სოციალურ-ეკონომიკური სეგრეგაცია, რაც სოციალურ თანასწორობას გამოწვევად აქცევს.

კვლევის საფუძველზეც აშკარა გახდა განსხვავებები ცხოვრების პირობებს შორის ერთი ქალაქის 3 რაიონის მასშტაბით. შეიმჩნევა უთანასწორობა ქალაქის პროფესიულ სტრუქტურაშიც, რაც, თავის მხრივ, გამოიხატება შემოსავლების არათანაბარ განაწილებაში და მნიშვნელოვან სხვაობაში ნახევრად კვალიფიციურ და მაღალკვალიფიციურ მუშახელს შორის. შრომის ბაზრის სტრუქტურა კი გავლენას ახდენს სივრცულ უთანასწორობაზე. მნიშვნელოვანია სოციალური კლასების სოციალურ-სივრცითი დისტრიბუცია განათლების დონისა და დასაქმების სტრუქტურის მიხედვით, მკვეთრად გამოხატული ურბანული პოლიტიკის არ არსებობის და ქაოტური განაშენიანების ფონზე. ყოველივე ეს განაპირობებს რესურსების არათანაბარ ფლობას და გავლენას ახდენს ძალაუფლების და შესაძლებლობების არათანაბარ განაწილებაზე, ცხოვრების ხარისხზე, სოციალურ პროცესებსა და მდგომარეობაზე. მაღალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მფლობელები, ძირითადად, განაწილებულნი არიან ვაკე-საბურთალოს ტერიტორიის ჯერ კიდევ პრესტიჟულ უბნებში, ხოლო დაბალი კლასის წარმომადგენლები - გლდანისა და დიდუბის რაიონებში. ეკონომიკური ნიშნით შერეული სამეზობლოებიც სწორედ ამ ტერიტორიებზეა წარმოდგენილი.

ბიბლიოგრაფია:

fox, J. B. (2017). Urban Poverty and. OXFAM.

Martino, G. G. (2022). Urban Housing Inequity: Housing Deprivation and Social. MDPI.

მაისურაძე, თ. (2019). ურბანული სოციალურ-ეკონომიკური და სივრცითი. 16-17.

ნამიჭიშვილი, ს. (2014). უსახლკარობა, სოციალური საცხოვრისი და სოციალური მუშაობა. tbilisi.

სალუქვაძე, ი. (2008). საზოგადოებრივი გეოგრაფიის საფუძვლები. თბილისი.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი. (2020). სახელმწიფოს უსახლკაროთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია არ აქვს.

ტაბატაძე, ა., & სარქისაშვილი, ნ. (2021). ქალაქის ცნება: თანამედროვე კრიზისი და უსახელმწიფო ქალაქების იდეა. თბილისი.

ტოგონიძე, ნ. (2023). საზოგადოების დამოკიდებულება თბილისის ურბანული სივრცის განვითარებასთან დაკავშირებით. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო.